სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.
ილია ჭავჭავაძე

● №9 (4584) ● 29 მაისი ● 2019 წელი ● ● ● გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით ● ფასი 1 ლარი

სკოლის კედლებამთავრებულნო, – დაგვლოცოთ დამთავრებული ცხოვრების გზა!

რეფორმების მხარდამხარ: მე-200 სკოლის ხედვა და მისია

სკოლა-პანსიონის წარმატებები

ადამიანები განსხვავებულები იბადებიან და ყველას როდი აქვს თანაბარი ინტელექტუალური თუ გონებრივი შესაძლებლობები. ამიტომ არსებობს სპეციალური დაწესებულებები, სადაც მძიმე და ღრმა ინტელექტუალური დარღვევის მქონე ბავშვებს ეხმარებიან და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მიხედვით, პანსიონურ მომსახურეობას უწევენ.

სწორედ, ასეთი ტიპის დაწესებულებაა თბილისის მე-200 საჯარო სკოლა, რომელიც გლდანში მდებარეობს. იგი წარმოადგენს რესურსსკოლას მძიმე და ღრმა ინტელექტუალური, ან მრავლობითი დარღვევის მქონე მოსწავლეებისთვის. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებს სკოლა აძლევს მათი შესაძლებლობის შესაბამის აკადემიურ ცოდნასა და სოციალურ უნარებს, ხელს უწყობს მათ რომ მომავალში შეძლონ შესაძლებლობების გათვალისწინებით დამოუკიდებელი ცხოვრება და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

მე-200 საჯარო სკოლა არის პანსიონური მომსახურების მქონე დაწესებულება და მისი დირექტორი გახლავთ **მარინე უჯმაჯურიძე**. დიდი გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი არის სერთიფიცირებული და ღვაწლმოსილი პიროვნება. იგი, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობს 1986 წლიდან. როგორც სპეციალური სკოლის დირექტორმა წარმატებით შეძლო, მიეღო და პრაქტიკულად დაენერგა, განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმები, ის სიახლეები, რაც სპეციალური საგანმანათლებლო პოლიტიკის, კანონმდებლობისა და ადმინისტრირების თვალსაზრისით არსებობდა.

დირექტორს მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება ყოველთვის ეხმარებოდა პრობლემების სწორ და დროულ აღქმაში. სჯობს თავად მოვუსმინოთ ქალბატონ მარინეს.

მარინე უჯმაჯურიძე: სკოლა საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სადაც ყველა მოსწავლე მთელი მათი მრავალფეროვნებით, ინდივიდუალური თავისებურებებითა და საჭიროებებით განიხილება არა როგორც ტვირთი და პრობლემა საზოგადოებისათვის, არამედ მისი განუყოფელი ნაწილი, რომლის თვითრეალიზაციაც აუცილებელია ამავე საზოგადოებისათვის. სკოლა-პანსიონში სულ 83 სსსმ მოსწავლე სწავლობს. აქ სწავლება ორსაფეხურიანია: **დაწყებითი** და **საბაზო.**

სასწავლო პროცესს წარმატებით ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე **ლალი გელენავა.** ასევე, სასწავლო პროცესში ჩართულია 24 მასწავლებელი, 10 მასწავლებლის ასისტენტი და 5 პირადი ასისტენტი. სკოლაში ფუნქციონირებს 7 საგნობრივი კათედრა: **ქართული ენა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდისა და სპორტის, დაწყებთი საფეხურის.** მასწავლებლების მიერ შექმნილია საგანმანათლებლო მრავალფუნქციური რესურსები, რომლებიც წარდგენილი იყო კათედრებზე პრეზენტაციის სახით. ასევე კათედრის წევრების მიერ ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტები, მოსწავლეების ნამუშევრების გამოფენები, მუსიკალური და სპორტული ღონისძიებები.

აღსანიშნავია, რომ ყველა მოსწავლისთვის ყველა საგანში არის შედგენილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ). მისი შემუშავება იწყება სასწავლო წლის დაწყებისთანავე. მის შექმნაში მონაწილეობენ საგნის მასწავლებლები, მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრები, მშობლები. ისგ თავისთავად გულისხმობს ეროვნული სასწავლო გეგმის კონკრეტული მოსწავლის შესაძლებლობებზე მორგებას. სასწავლო მიზნების გაწერისას გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკის თავისებურებები და მისი ბუნებრივი ინტერესები ამა თუ იმ საკითხის მიმართ. საგაკვეთილო პროცესი იგეგმება ისგ-ს მიხედვით, სადაც ჩადებულია ინდივიდუალური მიდგომა მოსწავლეებთან. გაკვეთილზე არის ბევრი აქტივობა და თვალსაჩინობა, წინასწარაა გაწერილი დრო, რომელიც ყველა ბავშვისთვის არის განსაზღვრული. გაკვეთილი არის სტრუქტურირებული. მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, რას გააკეთებენ საგაკვეთილო პროცესის განმავლობაში. ხდება ძველი მასალის გახსენება და ახლის შესწავლა, თითოეული მოსწავლისთვის შესაბამისი აქტივობების საშუალებით. მასწავლებელი ხშირად იყენებს ვერბალურ პოზიტიურ განმტკიცებას. გაკვეთილის ბოლოს მასწავლებელი აფასებს ბავშვების გამოვლენილ შესაძლებლობებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის გათვალისწინებით.

სასწავლო პროცესის ეფექტიანად განხორციელებას ხელს უწყობს მასწავლებლების ურთიერთდასწრება და შემდეგ გაკვეთილის მიმდინარეობის დროს გამოვლენილი ძლიერი და სუსტი მხარეების ერთმანეთთან განხილვა.

ყველა მასწავლებელი აქტიურად არის ჩართული მოსწავლეების სწავლა-სწავლების პროცესში, სადაც პედაგოგი პროცესში იყენებს განსხვავებულ სტრატეგიებსა და მეთოდებს. გათვალისწინებულია თითოეული ბავშვის შესაძლებლობები და მიზანმიმართული მუშაობა მიმდინარეობს ახალი უნარების განვითარებაზე. სკოლის სპეციალური მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს თითოეულ მასწავლებელთან, აძლევს მათ საჭირო რეკომენდაციებს, ეხმარება მიზნის შესაბამისი აქტივობების მოძიებასა და საგაკვეთილო პროცესის სწორად წარმართვაში.

მასწავლებლები თანამშრომლობენ მოსწავლის კანონიერ წარმომადგენლებთან და სხვა სპეციალისტებთან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების პროცესში და აქტიურად არიან ჩართულნი ისგ ჯგუფის საქმიანობაში.

სკოლის მულტიდისციპლინური ჯგუფის ხელმძღვანელი, ფსიქოლოგი **სალომე ჩოხელი,** წევრები: სპეციალური მასწავლებელი **თამთა საფარაშვილი,** მეტყველების თერაპევტი **ინგა თოდუა,** სოციალური თერაპევტი **ნინო მიროტაძე** და კლასის დამრიგებლები აქტიურად აწვდიან მშობლებს სხვადასხვა სახის ინფორმაციებს, ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ადმინისტრაციის შეხვედრა მშობლებთან სისტემატურ ხასიათს ატარებს, რაც უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში; განიხილავენ სხვადასხვა საკითხებს, როგორებიცაა: ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების გამოვლენის ხელშეწყობა, შინ სწავლისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა, შვილთან კომუნიკაციის პროცესში ასაკობრივი და ფსიქოლოგიური თავისებურებების გათვალისწინება.

სკოლის ფიზიკური გარემო შეესაბამება სსსმ და შშმ მოსწავლეთა განათლების ხელმისაწვდომობას. აქვს ჯანსაღი და სუფთა გარემო; გააჩნია სუფთა, ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო წყალმომარაგება; სკოლისა და პანსიონის ცენტრალური შესასვლელები ადაპტირებულია ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის. შენობებს გააჩნიათ შენობაში შესასვლელი პანდუსი.

რესურსსკოლა აღჭურვილია მოსწავლეების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების დაკმაყოფილების მიზნით, ყველა აუცილებელი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით: (ხელმძღვანელი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მენეჯერი **ნინო შარიქაძე**) ადაპტირებული ავეჯი, მრავალფეროვანი თვალსაჩინო სასწავლო მასალა, აუდიო-ვიდეო აპარატურა, კომპიუტერები, პრინტერი, ქსეროქსი, ლამინირების აპარატი, ასაკინძი აპარატი.

რესურს ოთახებში არსებული სასწავლო რესურსი მაქსიმალურადაა მორგებული მოზარდების საჭიროებებზე. აქ განთავსებულია შესაბამისი ლიტერატურა და თავს იყრის სხვადასხვა

→ გაგრძელება მე-2 გვ.

მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

ბავშვებთან ერთად შედგენილი „ანბანთქება“

„დედაენის“ სწავლების მეთოდიკური შენაკადი

გულახდილად ვთქვათ: დღეს მეტად შეიწროებულია **იაკობის „დედაენა“**. დროის მოთხოვნა კი სხვა არის: „ჩვენს აკვანს შემომჯდარ მგალობელ ფრინველს“ დავუბრუნოთ ძველი დიდება. ვეძებთ ამ ვითარებიდან გამოსავალს და აი, ერთ-ერთი მათგანი: გამოვიდა გამოცდილი, შემოქმედი პედაგოგისა და მხატვარ-გრაფიკოსის **ქეთევან აბელაშვილის** საანბანო პერიოდისათვის განკუთვნილი მეთოდიკური დამხმარე წიგნი **„ანბანთქება“**.

თავიდანვე ვიტყვით, ეს ბრწყინვალე ილუსტრირებული ნაშრომი, როგორც საუკეთესო თვალსაჩინოება, არა მარტო პირველკლასელებს, არამედ მათ პედაგოგებსაც დიდ სამსახურს გაუწევს.

როგორ იშვა ამ დამხმარე სახელმძღვანელოს საჭიროების იდეა?

მოვუსმინოთ თავად ავტორს: „სწავლების პროცესში, ქართულის გაკვეთილზე **„ლექსობანას“** თამაშისას პირველკლასელებმა აღმოაჩინეს იგი... თავად აქტიურად ჩაერთვნენ ანბანის რიგის მიხედვით ლექსების თხზვაში, ზოგმა საილუსტრაციო ნახატიც წარმოადგინა... ასე რომ, **„ანბანთქების“** ავტორები მასწავლებელთან ერთად პატარებიც არიან“.

„ანბანთქებას“ ბევრს ვიცნობთ, მაგრამ სწავლების პრინციპებთან მორგებულს – ცოტას. წინამდებარე კი ზუსტად მიესადაგება დღევანდელობის მოთხოვნებს. საგაზეთო სივრცე არ გვაძლევს შესაძლებლობას, დაწვრილებით გავაანალიზოთ წიგნში წარმოდგენილი ახლებური მიდგომები, რომელიც ცალკე მეცნიერული მსჯელობის საგანია.

ამჯერად წარმოგიდგენთ **„ანბანთქებას“** ყველა ასო-ბგერის შესატყვისი სტროფებით.

ბორის მიშველაძე,
პედაგოგიკის დოქტორი

ანბანთქება

ა _ ანი
ანით იწყება სამყარო,
სწავლის გვირგვინით ბრწყინავს.
ანით იწყება სხვა წყაროც,
მას უკვდავება ჰქვია.

ბ _ ბანი
ბანიდან ბედნიერება
გადაგვეშლება თვალწინ.
თავიდან რაც გვეძნელება,
დაგვისრულდება ზღაპრით.

გ _ განი
განი გულია გახსნილი
სიკეთისათვის მარად...
ცა ფირუზი და ცა მშვიდი
უნდა გვეფინოს ფარად.

დ _ დონი
დონით იწყება დედა და
დედის სიკეთე ქვეყნად.
დედა ხომ სამყარო არის
შუამავალი ღმერთთან?

ე _ ენი
ენი ენაა ქართული,
სიტყვაკაზმული სხივი.
ლექსით დღეგადაქარგული
სიყვარულისთვის ვიბრძვით.

ვ _ ვინი
ვინიდან ვაზი, ვენახი,
ვარდი ვარსკვლავი ხარობს
ვაზია ნორჩი კეთილი,
დარგვას ყველა რომ ჩქარობს.

ზ _ ზენი
ზენი ზეციდან ზეიმობს
ზამთარ-ზაფხულის სიხარულს.
ზღვის თოლიებთან სეირნობს,
ზღაპარს უამბობს სიყვარულს.

თ _ თანი
თანიდან თამაშ-თამაშით
თავიდან ვიწყებთ ანბანს...
ანი, ბანი და განია
რომ გვაწერინებს ამბავს.

ი _ ინი
ინიდან იადონივით
ტკბილად გვიგალობს ია,
ია და ვარდი გაშლილა,
დაგვიმშვენდება დილა.

კ _ კანი
კანით კლდეკარი იწყება
კაცის ნაგები კიბით...
გზად სასწაული ბრწყინდება,
დამშვენებული სხივით.

ლ _ ლასი
ლასიდან ლაღი, ლამაზი
ლექსები იწერება.
ლექსია გრძნობის საზღვარი,
ნისლში რომ იკვეთება.

მ _ მანი
მანით იწყება მამული,
მამა, მადლობა, მზე და...
მშვიდობა, სიტყვა ქართული,
მართალთა ლაღი მზერა.

ნ _ ნარი
ნარიდან ნუშის ხეს ვხედავთ,
ნერგებს ნიავში გაშლილს.
ნარჩიტას გაუთენდება,
რომ უგალობოს აპრილს.

ო _ ონი
ონი ჰგავს ოქროს გულიან
ონავარ ოჩოპინტრეს.
ოინბაზობის სული აქვს,
ოდნავ არ ერჩის ვინმეს.

პ _ პარი
პარიდან პატიოსნება
პირნათლად აღებს სარკმელს.
პოეზიიდან იწყება
პოეტის ხედვის არე.

ჟ _ ჟანი
ჟანიდან ჟღალი მიმინო,
ჟუნა – ჟღურტულა ჩიტი
ჟრიამულობენ, თითქოს,
ჟამია ქვეყნად წინსვლის.

რ _ რაე
რაე გვაგონებს რაინდის
რკინისგულიან გზას.
რკალის აბჯარი აისხით,
რომ შეერკინოთ ქარს.

ს _ სანი
სანიდან სახლი, სასახლე,
სიცოცხლის სხივი მეფობს.
სიყვარულს ერთად ქარგავენ,
სანთელივით რომ ენთოს.

ტ _ ტარი
ტარით იწყება ტოროლა,
ტიტა, ტიტინი ბავშვის.
ტიკტიკებს ტკბილად ტიტიკო,
ტრიალებს დრო და ჟამი.

უ _ უნი
უნიდან ულამაზესი
უნდა გვეფინოს დილა.
უთენია თუ ადგები,
უკეთ შეხვდები ცისკარს.

ფ _ ფარი
ფარით იწყება ფასკუნჯი,
ფართოდ გაშლილი ფრთებით.
ფრთებს იქით მოჩანს ცა ლურჯი
ფერად-ფერადი მთებით.

ქ _ ქანი
ქანით ქართული ზეცა და
ქართული მიწა გვატკბობს.
ქარვისფრად ნაქარგ ქვეყანას
ქართული ენა ათბობს.

ღ _ ღანი
ღანიდან ღამე მზიანი
ღიმილი იწერება,
ღაღადებს ღამის წყვდიადში
ღარიბი კაცის სევდა.

ყ _ ყარი
ყარიდან ყელმოღერებულ
ყაყაჩოს ვხედავ, გაშლილს.
ყვავილებს მზეშემოვლებულს
ყანაში ფანტავს ქარი.

შ _ შინი
შინიდან შხარა, შირვანი,
შორს მოჩანს გუნდი შურთხთა.
შრომაა კაცის მიზანი,
შორს წასვლა თუკი უნდა.

ჩ _ ჩინი
ჩინით ჩანჩქერი იწყება –
ჩუხჩუხით ჩამომდინარე.
ჩირაღდანივით ინთება
ჩეროში დღე მოცინარე.

ც _ ცანი
ცანით ცას ვწვდებით მადლიანს
ციური ცვარით სავსეს.
ციმციმებს მზისფერ არშიად
ცისკრის ვარსკვლავი ცაზე.

ძ _ ძილი
ძილით იწყება ძირძველი,
ძლევამოსილი ერი,
ძმა ხომ ძმითაა ძლიერი?
ქვეყანა – ბედნიერი.

წ _ წილი
წილით წყალი იღვრება
წარაფიდან მზისკენ.
წესრიგიდან იწყება
ნარმატების სივრცე.

ჭ _ ჭარი
ჭარიდან ჭრელი ჭივჭავი
ჭიკჭიკებს ჭალის პირას.
ჭემმარიტება ჭკვიანი
ჭაბუკის გულში ბრწყინავს.

ხ _ ხანი
ხანიდან ვხედავთ ხარირემს
ხეკორძულას წყალს ნატრობს,
ხეივნებს ხევებს ჩაირბენს,
ნაკადული რომ ნახოს.

ჯ _ ჯანი
ჯანით ჯანმრთელი თაობა,
ჯიში-ჯილაგი გვშვენის.
ჯილდოა ციდან ჩამოხსნა
ჯავარი ვარსკვლავეთის.

ჰ _ ჰოე
ჰოემდე გვეჩქარებოდა.
გზაც გაილია, სკოლაც,
თამაში გვენატრებოდა,
მოგვენატრება შრომაც.

P. S. რედაქტორის მინაწერი: ვიცით, რომ სარეფორმო ინიციატივებში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს განათლების დაწყებით საფეხურს. ე. ი. გამოთქმულია იაკობის **„დედაენის“** გაუმჯობესებული სახით აღდგენის სურვილი. აუცილებელია ამ პროექტის ერთ-ერთ კომპონენტად შევიტანოთ ეს **„ანბანთქება“**, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, იგი მიზერული ტირაჟით გამოიცა. არადა, საჭიროება მოითხოვს, თუ არა ყველა პირველკლასელს, მათ მასწავლებლებს მაინც უნდა ჰქონდეთ.

ამიტომ დაწყებითი კლასების ყველა პედაგოგის სურვილი და ჩვენი თხოვნაც არის, **განათლების სამინისტრომ ახალი სასწავლო წლისთვის გამოსაცემი „დედაენის“ გეგმაში, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, შეიტანოს ზემოწარმოდგენილი „ანბანთქება.“**

ლეილა ვადაჭკორია

მამულს ვუთხრათ გამარჯვება!

ილიას სამი მცნება: **„ენა, მამული, სარწმუნოება“** საბავშვო პოეტ **ლეილა ვადაჭკორიას** მხატვრული აზროვნების ქვაკუთხედია. **„მამულს – გული უპირველეს ყოვლისა!“** – დღეს გაცილებით უფრო მძაფრად ჟღერს ეს მოწოდება, ვიდრე გალაკტიონის ეპოქაში. ბავშვების ამ განწყობილებით აღზრდა, რასაც ქართულად მამულის სიყვარული ჰქვია, ხოლო უცხოურ ენაზე – პატრიოტიზმი, უაღრესად სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანაა და ამ მისიას თავდადებით ემსახურება პოპულარული პოეტი **ლეილა ვადაჭკორია.** კომენტარებს ორიგინალის შემეცნება, აღქმა და გათავისება ყოველთვის სჯობს. ჰოდა, გემო გავუსინჯოთ (უფრო სწორედ ამას ნორჩი თაობა შეიმეცნებს) ლეილას მამულის სიყვარულით გამთბარ სტრიქონებს.

გმირთა ნაკვალევი

აქ, ამ წმინდა მიწაზე,
სული რწმენით ივსება,
თუმცა, ზოგჯერ ჩამოთოვს,
ზოგჯერ დაინისლება.
აქ გმირთა ნაკვალევი
ვერაფერმა წაშალა,
აქ არც უკვდავებისა
წყაროს წყალი დამშრალა.
დიდგორი თუ კრწანისი,
მარტყოფი თუ მარაბდა,
სამშობლოს სიყვარული
გულს აგვინთებს მარადჟამს.

გმირები

ეს არის ჩვენი სამშობლო,
აქ აგვიგია ტაძარი,
სულ ჩვენი მოსავლელია,
უფლის ნაბოძი რაც არი.

იბრძოდნენ წინაპრები და
არ გასჩენიათ კითხვები,
იბრძოდნენ სისხლის წვეთამდე,
ამიტომ ჰქვიათ გმირები.

უკვდავია ვინ?

უკვდავია, ვინც სამშობლოს
ნათელი კვალი აჩინა,
ქართველი ერი მტრისაგან
წაშლას ვინც გადაარჩინა.
ნურც დალეოდეს სამშობლოს
აი, ასეთი ქართველნი,
ძმები ახალციხელები
და იოანე მხარგრძელი.
გიორგი, დავით, დემეტრე,
ერეკლე და მისთანები,
უმრავლოს ჩვენსა მამულსა
სულ მათი შთამომავლები.
ერთგულმა ნერგმა იხაროს
და ნირს იცვლიდეს მავანი,
ბრწყინავდეს ჩვენი სამშობლო,
როგორც მზე ამომავალი.

წმინდა ნინო
(ანა კალანდაძის ხმაზე)

ჯავახეთით მოდიოდა
წმინდა ნინო ვაზის ჯვარით,
ქრისტეს რწმენა წინ უძღოდა
შორეთს რომ უსწორა თვალი.
ფარავნის ტბას ეამბორა,
წყალი მიიპკურა პეშვით,
ნიავსაც კი ეალერსა,
მზემ სხივი ჩაანნა თმებში.
წმინდა ნინომ ვაზის ჯვარით
მოილოცა საქართველო,
მოწინებით თავს უხრიდა
მაღლა მთა და დაბლა მდელო.
იმ დროიდან ვერაფერმა
ვერ გატეხა ჩვენი რწმენა,
სალოცავად მამული გვაქვს,
სარწმუნოება და ენა.

მიყვარს და მეყვარება

გულზვიადი მთები მიყვარს
დაფერილი მზითა,
პური მიყვარს მოწეული
დაგვითა და წვითა.
ჭალა-ჭალა, მინდორ-მინდორ,
ხეტიალი მარტო,
ეს ამდენი სიყვარული
აბა, ვის გავანდო?

დიდი ნატვრა

სულ ნატრული ვარ რაღაცის,
ხან წვიმის, ხანაც ბალახის,
ნატრული მთა და მდელოსი,
მზიანი საქართველოსი.
ერთს ვეფერები, მეორის
ალერსისა მკლავს სურვილი,
მინდა მოვხვიო მკლავები,
რომ დავიოკო წყურვილი.
ერთად ჩავიკრა გულში და
არ დამრჩეს კუთხე, კუნჭული,
მესმოდეს წყაროს რაკრაკი,
თბილი ნიავის ჩურჩული.

სკოლა-პანსიონის წარმტებები

პირველი გვერდიდან

სასწავლო რესურსი, რათა მსგავსი კატეგორიის მოსწავლეებმა მაქსიმალურად მოახდინონ საკუთარი თავის რეალიზება და განათლების მიღება.

პანსიონური მომსახურებით სარგებლობა რეგიონებიდან ჩამოსული ბენეფიციარებისთვის არის 24 საათიანი, ხოლო თბილისელი მოსწავლეებისთვის სასწავლო დღეებში ფუნქციონირებს გახანგრძლივებული დღის ჯგუფები. თითოეულ სააღმზრდელო ჯგუფში არის ათამდე აღსაზრდელი. სააღმზრდელო პროგრამა მიმართულია მოსწავლის აკადემიური, ფუნქციური, წინა პროფესიული და სოციალური უნარების განვითარებაზე. ბენეფიციარები უზრუნველყოფილნი არიან მრავალფეროვანი, დაბალანსებული და ხარისხიანი საკვებით, საჭირო პირველადი მოხმარების პირადი ნივთებით, პირველადი მედიკამენტებით და პირველადი სამედიცინო მომსახურებით. აღსაზრდელთა ჯანმრთელობაზე ზრუნავს ექიმი პედიატრი **ვერა ციხელაშვილი** და ორი ექთანი. სააღმზრდელო ჯგუფებში მუშაობა მიმდინარეობს 6 კომპონენტის გათვალისწინებით: სასკოლო პროცესის განვითარების ხელშეწყობა, ფუნქციური და გონებრივი უნარების განვითარების ხელშეწყობა წინაპროფესიული უნარების განვითარების ხელშეწყობა სოციალიზაციის უნარების განვითარების ხელშეწყობა, ესთეტიკური აღზრდა და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობა, ჯანსაღი ცხოვრების ხელშეწყობა, სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში მონაწილეობა.

სააღმზრდელო პროცესის განხორციელებაში მონაწილეობენ სააღმზრდელო პროგრამის კოორდინატორი **ქეთევან სტურუა,** ჯგუფის აღმზრდელები, აღმზრდელის ასისტენტები, პერსონალური ასისტენტები, მეტყველების თერაპევტი, სოციალური თერაპევტი, ფსიქოლოგი და სკოლა-პანსიონში მოქმედი სხვადასხვა წრეების ხელმძღვანელები და თერაპევტები, როგორებიცაა: **დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნება, დრამათერაპია, გარდენოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, ფოლკლორის გუნდი და ხის მხატვრულად დამუშავება.**

მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სპეციალური ოლიმპიადის ეგიდით გამართულ რესპუბლიკურ, ევროპის და მსოფლიო თამაშებში. სკოლას ჰყავს ევროპის და მსოფლიოს ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლების მფლობელები ფეხბურთსა და მძლეოსნობაში.

დრამწრის წევრების მონაწილეობით დადგმული სპექტაკლები წარმატებით იქნა ნაჩვენები ქალაქის სხვადასხვა თეატრის სცენაზე.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი კოლეჯი „მერმისი“ სკოლა-პანსიონში უკვე მეორე წელია აგრძელებს „სკოლის მოსწავლეებში შრომითი უნარების განვითარების ქვეპროგრამის“ განხორციელებას შემდეგი მიმართულებებით: **„კულინარია“** და **„თექა-უძველესი ქართული ტრადიცია“.**

ასეთი ნაყოფიერი მოღვაწეობით არის გამორჩეული სკოლა-პანსიონი არამარტო რაიონში, არამედ მთელ დედაქალაქში.

მზია გოგოძე

ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ

„თამარიონი“ – ქმედებით დამტკიცებული სითბო და სიყვარული



მწვერვალების დაპყრობა იოლი არაა, ამ გზაზე ცოდნით და ნიჭით უნდა მიაღწიო წარმატებას. **„გვინდა დაგილოცოთ გზა ძნელად სავალი“** – კერძო სკოლა **„თამარიონში“** ამ განწყობით შექმნილი სასკოლო გარემო – მოწესრიგებული შენობითა და თანამედროვე სტანდარტების სასწავლო ინვენტარით, სადაც მოსწავლეები ხარისხიან განათლებას იღებენ – ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. სკოლა ქმნის აღზრდისა და განათლების თანამედროვე სისტემას, რომელსაც წარმატებით ახორციელებს ადმინისტრაცია: სკოლის დირექტორი **გულნარა კვიციანი**, კომერციული დირექტორი **ინგა ამირანაშვილი**, საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი **თამარ გურგენიძე**, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მენეჯერები – **ქეთევან ხაბულიანი** და **ხათუნა კოვზირიძე**.

23-ე წელია უახლესი მეთოდებითა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით წარმართავენ სასწავლო პროცესს კვალიფიციური პედაგოგები. უკანასკნელ წლებში, ახალი შენობის შეძენის შემდეგ, განსაკუთრებულად მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა სკოლაში შესვლისთანავე თვალშისაცემია. ყველაზე მეტად კი ქალბატონ გულნარას კეთილმეგობრული და კოლეგიალური დამოკიდებულება გაგაოცებთ. აქ ყველა თავისი საქმის საუკეთესო სპეციალისტია.

ინოვაციური პედაგოგიური მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის გზით, სკოლაში ზრუნავენ მოსწავლეთა საბაზისო უნარების განვითარებაზე, ქართული ენისა და ქართველი კლასიკოსების შემოქმედების შესწავლაზე, ლოგიკური, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნების, სამყაროში მიმდინარე პროცესების აღქმისა და კვლევის, სპორტული, შრომითი უნარების ჩამოყალიბებაზე. ასწავლიან ოთხ უცხო ენას (ინგლისური, გერმანული, რუსული, ესპანური). დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები აქვე ემზადებიან ეროვნული გამოცდებისთვის და რეპეტიტორის გარეშე, წარმატებით განაგრძობენ სწავლას სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. წელს ოთხი მედლის კანდიდატი ჰყავთ: **ბაჩუკი დალაქიშვილი** და **ქეთი ჯიქიძე** (ოქრო), **დავით მალუტაშვილი** და **გიორგი ჯამასპიშვილი** (ვერცხლი); ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის (ინგლისური ენა) III ტურში გადასული მოსწავლე **ქეთა კოვზირიძე** გახლავთ. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები: დაწყებითი კლასების (ხელმძღვანელი – **ზაირა კერესელიძე**), ქართული ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი – **შორენა გავაშელიშვილი**), მათემატიკის (ხელმძღვანელი – **მაია ბარნაველი**), საზოგადოებრივი მეცნიერებების (ხელმძღვანელი **ნინო შველიძე**), უცხოური ენისა და ლიტერატურის (ხელმძღვანელი **შორენა რეხვიაშვილი**), საბუნებისმეტყველო (ხელმძღვანელი – **ნინო მოლაშხია**), სპორტის, ხელოვნებისა და ესთეტიკის (ხელმძღვანელი – **ნატო აბრამიშვილი**).

სასწავლო პროცესი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებული უახლესი მეთოდების გამოყენებით მიმდინარეობს. ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდაში ყველას თავისი წვლილი შეაქვს. საინტერესო პროექტებით, შიდა სასკოლო კონფერენციებითა თუ ღონისძიებებით მდიდარი სასწავლო წელი დასასრულს მიუახლოვდა. ერთი საგაზეთო წერილი ვერ დაიტევს იმ აქტივობათა ჩამონათვალს, რომლითაც თავისუფლად შეუძლიათ იამაყონ **„თამარიონის“** მესვეურებმა, ჩვენ მხოლოდ მცირედს გავაშუქებთ, რათა მკითხველს წარმოდგენა შეექმნას, თუ რატომ უნდა ანდოს შვილების მომავალი ამ სკოლას.

პედაგოგ **ნინო მოლაშხიას** ხელმძღვანელობით XI კლასის მოსწავლეებმა (**მარი მოსიავა, ლუკა ქორიძე, დიტო ბურდული, ირაკლი სვიმონიშვილი, ლადო თანიაშვილი, ნანა ადეიშვილი, ნინი ჯიქიძე, გიორგი ლომიაშვილი, ირაკლი კუჭიაშვილი, ირაკლი ტულუში, ნიკა ხაჭაპურიძე, ნიკა მამისაშვილი, ლიზი ფეიქრიშვილი, სოფო ღონღაძე**) გამართეს სასწავლო-შემეცნებითი კონფერენცია თემაზე **„შოკოლადი და ჯანმრთელობა“** და საზოგადოებას შოკოლადის შექმნის ისტორიის, სახეობების, სიკეთისა და მავნებლობის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

მესამე წელია **„თამარიონის“** მოსწავლეები მონაწილეობენ ბრიტანული საბჭოს მიერ დაარსებულ პროგრამებში. „key for school“. B1 დონის სერტიფიკატები აიღეს პედაგოგ **რენა ინდუაშვილის** VII კლასის მოსწავლეებმა: **ზუკა ამირანაშვილმა, მარიამ ბასარიამ** და **ანა-მარია ხაჩიძემ.**

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის (GAU) ორგანიზებით, თბილისის უზენაეს სასამართლოში გაიმართა იმიტირებული სასამართლო პროცესი სკოლის მოსწავლეებისათვის, სადაც 8 საჯარო და კერძო სკოლა მონაწილეობდა. კონკურსი რამდენიმე ეტაპად წარიმართა. ჟიურის გადაწყვეტილებით, ფინალური ტურის გამარჯვებული სკოლა **„თამარიონის“** გუნდი გახდა.

შთამბეჭდავი იყო VII კლასელების მიერ ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი სპექტაკლი „**The lion king**“ (პედაგოგი **რენა ინდუაშვილი**). სპექტაკლის მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის მუსიკის პედაგოგ **ნატალია აბრამიშვილს**, ხოლო დეკორაციასა და გრიმზე იზრუნა ხელოვნების პედაგოგმა **ფიქრია ტაბატაძემ**; ასევე საუცხოო ინგლისურენოვანი კოსტუმირებული სპექტაკლი **„კონკია“** წარმოადგინეს IX კლასელებმა (პედაგოგი **თამარ ანდღულაძე**).

პედაგოგმა **თინიკო ქავთარაძემ** VI კლასში მათემატიკური კონკურს-ვიქტორინა ჩაატარა, რომლის მიზანი მოსწავლეთა ცოდნის დადასტურება და მოტივაციის ამაღლება იყო. სხვადასხვა აქტივობის შედეგად გამოვლინდა გამარჯვებული გუნდი.

დედამიწის დღეს მიეძღვნა XI კლასელთა კონფერენცია **„დედამიწა და XXI საუკუნის გლობალური პრობლემები“** და V კლასელთა უმშვენიერესი ღონისძიება **„დედამიწა – ცოცხალი პლანეტა“** (პედაგოგი **ნინო წამალაშვილი**). X კლასის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი **ნინო შველიძე**) დაასრულეს პროექტი **„გავუფრთხილდეთ გარემოს“**, შეაგროვეს სკოლაში გამოყენებული პოლიეთილენის პარკები, მუყაოს ყუთები და გააკეთეს ე. წ. პუფები.

ემოციითა და სითბოთი იყო დატვირთული VIII კლასელთა შეხვედრა პოეტ **ნინო სადღობელაშვილთან.** შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, ეკრანზე ფილმ **„ბამბაზიის სამოთხის“** ფინალური სცენა წარმოადგინეს, უფროსკლასელებმა კი ლექსებითა და სიმღერებით წარმოაჩინეს თავი.

გამიმართლა და ჩემი სტუმრობა კიდევ ერთ ღონისძიებას დაემთხვა. საოცარი დეკორაციებით მორთულ დარბაზში იმერულ ეზოსა და სახლ-კარში აღმოვჩნდი. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგმა **ხათუნა კაშიამ** მეშვიდეკლასელებთან ერთად სცენაზე **„ქამუშაძის გაჭირვება“** გააცოცხლა და განსაკუთრებულად ლამაზი კოსტუმირებული სპექტაკლი წარმოადგინა. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ დეკორაცია და კოსტიუმები ზუსტად იყო გათვლილი ყველა წვრილმანი ნიუანსით, რაც ხატვის პედაგოგის **ფიქრია ტაბატაძის** დამსახურებაა.

სკოლა **„თამარიონის“** მოსწავლეები სპორტული წარმატებებითაც დაიკვეხნიან. პედაგოგების **შორენა რეხვიაშვილისა** და **გიორგი რევიშვილის** ხელმძღვანელობით აპრილში **„ოლიმპიური თამაშების“** კვირეული გაიმართა სხვადასვა კატეგორიაში. გამოვლენილ გამარჯვებულებს კი მედლები და დიპლომები გადაეცათ. ქართველებს განსაკუთრებული სიამაყით გვავსებს სპორტული მიღწევები. ამიტომაც, ასე ამაყია დღეს ეს სკოლა. საქართველოს 18 წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა უდიდეს წარმატებას მიაღწია – **ევროპის ჩემპიონები გახდნენ**. მოწინააღმდეგეთა კარში ლეღლოს დადებაში თავიანთი წვლილი კი სწორედ თამარიონელთა XII კლასელებმა – **ლუკა ჩქარეულმა** და **ლევან ქუშაშვილმა** შეიტანეს. ამ გამარჯვებული ბიჭებისთვის უკვე **„ბოლო ზარი“** დაირეკა და თანაკლასელებთან ერთად, კიდევ ბევრი წარმატებით შეგვახსენებენ თავს.

პროფესიონალი, კვალიფიციური, თავის საქმეზე შეყვარებული ადამიანების ძალისხმევის შედეგი სახეზეა. ეს არის სკოლა, სადაც ყველა მოსწავლეს გავუწევდი რეკომენდაციას, რადგან ეს მათი წარმატებული მომავლის გარანტია იქნება. ამის დასტური კი რვა შვილიანი დედის **ეკა ჯაფარიძის** სამადლობელი წერილია: **„...ჯერ კიდევ არსებობენ ის იშვიათი გამონაკლისები, რომლებიც თავს ჩვენც ადამიანებად გვაგრძნობინებენ, თვითონ იკლებენ და ჩვენ გვიზიარებენ. სიტყვით გამოთქმულ გულისხმიერებას ქმედებით ამტკიცებენ და უანგაროდ გასცემენ სითბოსა და სიყვარულს...**

ᲜᲐᲗᲘᲐ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ

ლიტერატურული გვერდი

გილოცავთ 26 მაისს – დამოუკიდებლობის დღეს!

მაისია, მერმისია – ვარდ-ყვავილთა მეჯლისია

ნაირა ნიჟარაძე

მაისის თვეს ჩვენში ვარდობისთვეს ეძახიან – წელიწადის არცერთ დროს არ არის ვარდ-ყვავილთა ეგზომ ზეობა-მრავლობა. ყვავილთა დიდ ოჯახში პრიმატი მაისის ვარდს ეკუთვნის – არც ერთი არ არის მასზე ტურფა და სურნელოვანი. გენიოს ხელოვანთა უთვალავი შედევრი ეძღვნება „ყვავილთქებას“, „მაგრამ სულ სხვა რამ არის, სხივებნათამამარი, ნაირას ყვავილთა მზე“.

დიახ, პოპულარულმა საბავშვო პოეტმა **ნაირა ნიჟარაძემ** პატარებს (დიდებსაც) დაუწერა ლექსები ვარდ-ყვავილებზე საერთო სათაურით „ყვავილების გამოფენაზე“.

გთავაზობთ მას მცირე შემოკლებით.

ყვავილების გამოფენაზე

საგამოფენო დარბაზი

ვაზის თალარში მოსულა
ლურჯი მაისი ციმციმით.
აქ თავს იყრიან ყვავილნი
ღიმილითა და სიცილით

კეკლუცობენ და გვიმზერენ
მნათი, კეთილი თვალებით,
აქვე არიან ხალისით
ზურმუხტები და ლალები.

ვარდი

– **ჩვენი** დღესასწაული, –
ვარდმა ბრძანა წყნარად, –
მე ვიყავი დედოფალი
და ვიქნები მარად.

პოეტები უმღერიან
ვარდს სიტურფის მქონეს,
მიმზიდველი სურნელებით
ყველას დაიმონებს.

ის ამშვენებს საქართველოს
ბაღებსა და კორდებს,
ჰოლანდია გმირებს ჩუქნის
„თეთრი ვარდის“ ორდენს.

საბერძნეთში უწოდებენ
„ყვავილების მეფეს“,
დასარგავად მის ღეროებს
მოყვარული ეძებს.

გმირებს ვარდებს მიართმევენ
ყველა ქვეყანაში,
ვარდი ყველგან, ნაზი ფერი
ეზოსა და ბაღში.

ვარდმა ბრძანა: მშვიდობაა
ჩემი სალოცავი,
საქართველოს შესამკობად
ზამთარ-ზაფხულ ვყვავი.

– ვარდო, ვარდო, ვარდისაო,
სიხარულო ხალხისაო.
მოგვაფრქვიე სურნელება
მთებისა და მინდვრისაო.

ია

ია – სულ სხვაა, პირბადრი
ლურჯად მოხატავს გარემოს,
სურნელიც მოაქვს საამო,
ვინ არის ის, რომ არ აქოს.

სამკურნალოცა და საამოც,
მუდამ კეთილი რამ არის,
ნახარში გულსაც უხდება,
ავადმყოფობის წამალი.

ია ლურჯია, ხასხასა,
სხვა სილამაზის ფერია,
სიმბოლო კრძალვის, მორცხვობის,
მას გაზაფხულზე ელიან.

– ჩემი ფუძეა მშვიდობა
მთლიანად დედამიწაზე,
ია ვარ – სავსე სიკეთით
ძლივსღა რომ ვჩანვარ მიწაზე.

ზამბახი

ზამბახი ცისფერთვალება,
იზრდება ყინვის ამტანი,
ხან ცისფერია, ხან – ლურჯი,
სხვა მისი მსგავსი სად არის?
გვირგვინით, ფართო ფოთლებით
იცნობს ევროპაც, აზიაც
ამერიკაშიც იზრდება,
ნამდვილად რომ ლამაზია!
ის ხარობს იტალიაშიც
და ზღაპრულ ფლორენციაში,
გერბად ხატავენ ზამბახებს,
შესულა უკვდავთ სიაში.

ტიტები

თალარში სხედან ტიტები,
შეღებილი აქვთ თითები,
ზოგი ლურჯია, წითელი,
მათ გაანათეს ბინდები.

მაღალი ღერო უხდება,
გვირგვინი ფურცლებიანი,
მისი მოყვანა ბაღებში
არასდროს არის გვიანი.

აჯილდოებენ მებაღეს
ნაზი, ფერადი ყვავილით,
ვაჟი ქალს აწვდის ღიმილით,
სიყვარულით და სურვილით.

ყაყაჩო

ყაყაჩო – ალისფერაო,
ვერ შეგვედრებით, ვერაო,
ყანებში გალაღებულხარ
ნიავქარზე შენც ღელავო.

წითლად ელვარებ ხალითა,
ველზე გაშლილხარ ხალიჩად.
ღმერთმა გამრავლოს, გამრავლდი
და მოგვევლინე ხალისად.

წინათ ყაყაჩოს ხარშავდნენ
ბავშვების დასაძინებლად.
მუდამ იელვე მინდორში,
ბუნებამ ასე ინება!

სალაღობოდ წასაკითხი

მოსე მწერლის სამი პაროდია

მოგვენატრაო *მოსე მწერალი. კარგა ხანია არ გამოჩენილაო, – ფეისბუქით გვეხმაურებიან მკითხველები. შემოქმედებითი მივლინებითაა, ბატონი, მშობლიურ გურიაში. გაუჭიანურდა მივლინება: ხან სტიქიური უბედურებაო, ხან – საარჩევნო შეხლა-შემოხლაო. – ხან აქციებიო და ხომ იცით, „როცა ზარბაზნები ქუხან, მუზები სდუმან“. ხელცარიელი როგორ დავბრუნდეო, გვთხოვა: სამი ძველი პაროდია მაინც გაუშვით, მკითხველს რომ არ დავავიწყდეო. ერთი იმიტომ, რომ გამეორება ცოდნის დედაა და, მეორე, ის პაროდიები დღეს უფრო აქტუალურიაო.*

არ ვაწყენინოთ ჩვენი დროის მოსე მწერალს.

მოდა გარდამავალი და მუდმივი

რა ჯობია ლამაზ ქოჩორს! ნიკას მშვენიერი თმა ძალიან უხდებოდა. ვის არ უხდება იგი. მაგრამ ბუნება ბევრს ჭაბუკობაშივე ამელოტებს. ქაჩლები თმის კომპენსაციას წვერ-ულვაშის მოშვებით ახდენენ. ბევრს მღვდელივით მოუშვია. ზოგი **ნიკაპნალამოკრულს** გავს, ზოგიერთი კი **ოჩოკოჩივით** (ტყის კაცივით) დადის...

– აი, რა ყოფილა მოდაო!.. და ნიკა ორ თვეში თავმოტვლეპილი, წვერგაბურძგნული აწონებდა თავს მუხლებზეშარვალგამოღლეტილ გოგონებს. უფრო რომ მიიხედ-მოიხედა, შეამჩნია, მამაკაცებს გრძელი თმები ქალის ნაწნავებივით ჰქონდათ ბანტით შეკრული. „რუსთავი-2“-შიც ნახა ასეთი წამყვანები. – ავჩქარდი, ლამაზი ქოჩორი რომ მოვიშორეო. – მწარედ ინანა ნიკამ.

ინგას თავგადასავალი

გვახსოვს საშინლად მოდებული რომ იყო მოდა: ქალებისგან (ხანდაზმულებისგანაც) მუცელ-ჭიპის გამოჩენა. მუდმივი არაფერია და, როგორც იქნა, კარგა ხანია დავიწყებას მიეცა, თუმცა, სხვა მოდით შეიცვალა იგი. აი, ინგამ დაინახა, რომ მისი ტოლები (გათხოვილ-შვილიანებიც) მუხლებთან გამობრდღვნილი შარვლებით ზამთარშიაც კი დასეირნობენ.

– თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო, თქვა და ახალნაყიდ ჯინსის შარვალს მუხლებთან გამოგლეჯვა დაუწყო. რომ მორჩა, ისევ თქვა: „თხა თხაზე უკეთესი უნდა იყოსო და მუხლის ზემოთაც გამოგლიჯვა. რუსთაველზე რომ გაისეირნა, კიდევ ნახა: ვიღაცას მუხლის ზემოთ მესამე სიშიშვლე გამოუჩენია.

– თხამ თხას უნდა აჯობოსო, – ინგამ და ზემოთ მეოთხე სიშიშვლე გამოაჩინა. უფრო მაღლა წასვლა არ შეიძლებოდა. ამის ზემოთ იწყებოდა ის, რაც ჯერჯერობით მოდაში არ შემოსულა.

„ყავას” პრემია

მოუნდა გიგას პოეტობა და პოპულარობა: ლექსის წერას რა უნდაო, რითმა, რიტმი და მისი ჯანიო. ჟურნალ-გაზეთებში რამდენიმე ლექსიც გაახერხა, მაგრამ „სორე“ სახელი და დიდება? იქვე, ახლოს იყო ლიტკლუბი **„ყავა“**. იმართებოდა კონკურსები. მსუყე პრემიებიც ჰქონდათ. გიგა მარიფათიანი ბიჭია, მიდგა-მოდგა და ნაცნობი გამონახა. გაიგო, საკონკურსო ნომინაციებში საკონკურსო ლექსები არ იყო წარმოდგენილი. „მოდი, ერთი, **„ბასტი-ბუბუ“** გავრითმოო!“

ბევრი იჭყლიტა ტვინი, მაგრამ კაშკაშა რითმებს ვერ მიაგნო. გაახსენდა ნაცნობი პოეტის ნათქვამი: **„მუზა ტუალეტში მომდისო“.** მაშინვე შევარდა და... ჩუ! ვიღაცამ უნიტაზიდან ამოსძახა: „ბასტი-ბუბუ“ შეაბრუნეო! შეაბრუნა და აი, აეწყო ლექსი. **„ბუბუ-ბასტი ბუბუ-ბასტი, მინდა გავხდე „ყავარასტი“, რომ არ გითხრან „ფანდარასტი. არ გამპასტონ შავი პასტით“.** ასე რაკრაკით ბოლომდე ჩავიდა. კლუბ „ყავაზე“ რომ არაფერი ვთქვა, განა შეიძლებაო? და აი, ისიც: **„კლუბი „ყავა“, „კლუბი „ყავა“, „ყავამ თუ არ დამიყვავა, მაშინ ვავა! კიდე ვავა!“** ამით ვერ გავიმარჯვებ. საბავშვო ლექსებია მთავარი. ჰოდა, დაეპწკარა ქაღალდს ლექსები: **„ოცი ბუ და ათი ბატი, რამდენია, ჩემო ფატი? დავუმატოთ ასი კვატი, აბა, გამოიცან, რატი!“** რახან მუზა გაიხსნა, რა გააჩერებდა? **„ბევრი პური, ბლომად ქადა, მომემატა ჭამის მადა, მაგრამ ეს კუჭს გაუხარდა? კუჭი მალე დაავადდა“...** ეს ხომ სიახლეა – ეკოლოგიისა და მედიცინის პრობლემებს შევეხეო.

ასე შეაქუჩა ლექსები და გვარიანი კრებული გააშანშალა.

პრეზენტაციაზე კრიტიკის კორიანტელს იოლად გადაურჩა, თუმცა ორი მწვავე შენიშვნა მაინც დაიმსახურა: ცოტა არ იყოს, სხვა პოეტის ხმა გვესმისო. მეორე ნაკლი იყო უფრო სახიფათო: სექს-ტერმინებს გამოყენებასა და ბილწსიტყვაობაში სერიოზულად მოიკოჭლებო.

საკონკურსოდ წარდგენილ წიგნში ყველა ხარვეზს აღმოვფხვრიო, – შეპირდა ჟიურის წევრებს და გახდა გიგა **„ყავას“ პრემიის ლაურეატი.**

მეპროსპექტეებო!

„რუსთველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალოს ღმერთმა.
დე, მუდამ ვიყო ასე მხიარული!“
ინატრა პოეტმა ერთმა.

ეს ძველად, მაშინ ლადოს დრო იყო.
დღეს სხვა ხალხია: თიკო, ზალიკო...
დღეს ვინ კითხულობს გრანელს, მალარმეს,
აქ აკეთებენ რაღაც სხვა რამეს.

კაცს მოუშვია თმები ძალიან,
განა კაცსა ჰგავს? უფრო ქალია.
ჯგროდ მიმოდიან გოგო-ბიჭები,
უჩანთ მუხლები, უჩანთ ჭიპები.

– არ მოგწონს ტურფა მარი თუ ანა?
მაშ გყვარებია მარიხუანა.
– ოჯახი – არა! არ გსურს ნასტია.
შენთან ახლოა პედერასტია.

თქვენ, მომავალო თაობავ, ჩვენო,
კარგია დიდი ევროკავშირი,
მაგრამ ამ დიდსა ევროკავშირსა
გერჩიოთ ფოთი, ვაქირ-კვახჭირი.

აღარ აბოლოთ მარიხუანა,
აღარ გასინჯოთ ნარკო არცერთმა!
რუსთველის პროსპექტზე მაშინ სიარული
ნუ მოგიშალოთ მაღალმა ღმერთმა!

გვერდი მოამზადა
ბორის მიშველაძემ

სწავლების მეთოდიკა

პუნქტუაციის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემები

პუნქტუაციის სწორად გამოყენება ადამიანისათვის, განურჩევლად სოციალური სტატუსისა, განათლებისა, პროფესიისა, ცხოვრების ყველა ეტაპზე საჭირო და გამოსადეგი უნარია. სასვენი ნიშნები **აკადემიური წერის** სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების ერთ-ერთი მთავარი ბერკეტია. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკოლაში მოსწავლეთა პუნქტუაციის კრიტერიუმით შეფასებისას აზრობრივად გამართულ და სწორად შესრულებულ ნაშრომს. წინამდებარე სტატია არის პრაქტიკული კვლევის ანგარიში. იგი ეძღვნება სკოლაში საბაზო საფეხურზე წარმოქმნილ პრობლემას პუნქტუაციის გამოყენებასთან დაკავშირებით. სტატიაში განხილულია სასვენი ნიშნების არასწორად ხმარებით გამოწვეული პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები.

მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა ყველაზე დიდი ხვედრითი წილი სწორედ სასვენი ნიშნების არასწორ გამოყენებაზე მოდის. ტიპური შეცდომებია:

ა) სასვენი ნიშნების დასმა იქ, სადაც ეს არ არის საჭირო;

ბ) ერთი სასვენი ნიშნის შეცვლა მეორით;

გ) სასვენი ნიშნის დაუსმელობა.

მოსწავლეთა დიდი ნაწილი ვერ ახერხებს სასვენი ნიშნების მართებულად გამოყენებას. სასწავლო პროცესზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პუნქტუაციურ შეცდომათა გამომწვევი მიზეზი ხშირად ინტონაციაა; არადა, დღეს უკვე აღარ არის სადავო ის ფაქტი, რომ მთელ რიგ პუნქტუაციურ ნიშნებს იყენებენ ენის **სინტაქსური თავისებურებების** გააზრების საფუძველზე. სკოლაში კი დღეს სინტაქსის (ისე, როგორც მთლიანად გრამატიკის) სწავლების თვალსაზრისით საკმაოდ ჭრელი სურათი გვაქვს, რაც აისახება მოსწავლეთა წერით ნამუშევრებში. დღეს არავისათვის აღარ არის სადავო, რომ **პუნქტუაციის საფუძველი** ძირითადად **სინტაქსია**. მის მოქმედებას განსაზღვრავს ენის **სინტაქსური კონსტრუქციები და სემანტიკურ-სტილური თავისებურებანი**. ამ მხრივ ქართული ენა საკმაო თავისებურებებით გამოირჩევა, სინტაქსური კონსტრუქციების მრავალფეროვნება, განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების სიჭარბე, მას განასხვავებს ინდოევროპული ენებისაგან და ბუნებრივია, პუნქტუაციასაც აქ სულ სხვა დატვირთვა აქვს, რაც თავისთავად აისახება მოსწავლეთა წერით ნამუშევრებშიც.

პუნქტუაციის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემების მიზეზების დასადგენად ჩატარებულმა სამუშაოებმა და კვლევებმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა აბსოლუტური უმრავლესობა წერისას ყველაზე ხშირად იყენებს **მძიმეს, წერტილს, კითხვის ნიშანს, ძახილის ნიშანს**; შედარებით მცირე ნაწილი აღნიშნავს, რომ წერისას იყენებს აგრეთვე ორწერტილს; კიდევ უფრო მცირე ნაწილმა აღნიშნა, რომ იყენებენ ტირეს (თუმცა, როგორც წესი, იგი ხშირად ერევათ დეფისში). გამოკითხულთა დიდი ნაწილი საერთოდ არ იყენებს ისეთ სასვენ ნიშნებს, როგორიცაა: ბრჭყალები, ფრჩხილები, წერტილ-მძიმე, უმრავლესობამ იცის, რომ სასვენი ნიშნები საჭიროა იმისთვის, რომ აზრი გასაგები იყოს, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებს მათ მართებულად გამოყენებას; რაც შეეხება სასვენი ნიშნების გამოყენების მიზეზს, უმრავლესობის აზრით, მათი გამოყენება საჭიროა იმიტომ, რომ ასე მოითხოვს ზეპირმეტყველება – პაუზა, ინტონაცია. ისიც აღსანიშნავია, რომ პუნქტუაციურ შეცდომათა რაოდენობა ორთოგრაფიულთან შედარებით კლასების მიხედვით კი არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც.

კვლევებმა გვიჩვენა, რომ სასვენი ნიშნების უნარის ცუდად ფლობის მიზეზებია:

სასკოლო სახელმძღვანელოები;

მასწავლებელთა მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდება სასვენ ნიშნებთან დაკავშირებით;

მასწავლებელთა მიერ ნაკლები აქტივობების დაგეგმვა პუნქტუაციური უნარის ფორმირებისათვის.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად სწორედ ამ მიმართულებით არის საჭირო მუშაობა და რაც შეიძლება მეტი პრაქტიკული სამუშაოს შესრულება ამ მიმართულებით.

ბიბლიოგრაფია; მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, თბილისი, 2009 წ; ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, თბილისი, 1966წ.

ელისო ლოგჟანიძე-ბერიძიშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი.

სწავლა-აღზრდის მეთოდიკა

როგორ აღვზარდოთ სკოლებში ბავშვი პოზიტიურად

ბავშვის განვითარება რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელზეც მრავალი გარე ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. სიცოცხლის ბოლომდე გარემო ფაქტორები ზემოქმედებენ ადამიანის განვითარებაზე. ყველა ამ გარემო ფაქტორთა ზემოქმედება ადამიანის განვითარებაზე გაშუალებულია სწავლისა და სოციალიზაციის პროცესით, ანუ ბავშვს გარემოსთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილების საფუძველზე უყალიბდება გარკვეული წარმოდგენები, ჩვევები და ქცევის ნორმები. ბავშვის სწავლა არის ძირითადი პროცესი, რომლის საშუალებითაც გარემო იწვევს მდგრად ცვლილებას ადამიანის ქცევაში. დასწავლა ხორციელდება ცალკეული პიროვნული გამოცდილების და ვარჯიშის შემდეგ.

ბავშვი სკოლაში შესვლისთანავე ხდება ამა თუ იმ **სოციალური ჯგუფის** წევრი. იგი მოიცავს ყველა იმ განწყობის, აზრის, წესის, ღირებულებების როლის და მოლოდინის შეთვისებას, რომელიც მოცემულ კონკრეტულ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს. ეს პროცესი გრძელდება სიცოცხლის ბოლომდე და ეხმარება ადამიანს თავი იგრძნოს ჯგუფის წევრად. ბავშვი სოციალიზაციის პროცესში ირგებს გარკვეულ როლს. გარკვეული როლის გათავისება კი დროს მოითხოვს. ბავშვის ზრდასთან ერთად იზრდება სოციალური როლების რაოდენობაც.

ბავშვის აღზრდა ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მოიცავს ურთიერთობის როგორც დადებით ასპექტებს, როგორიცაა **შექება, მოწონება, წახალისება, ასევე, უარყოფითსაც: საყვედური, აკრძალვა, დასჯა**. წახალისება და დასჯა აღმზრდელობითი პროცესის ერთგვარი ბერკეტია.

რას ნიშნავს **პოზიტიური აღზრდა**? ეს არის მეთოდი და მიდგომები, რომელიც თითოეულმა მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს თავის აღსაზრდელებთან სწავლის პროცესში, რომელიც კარგად მუშაობს ნებისმიერ ბავშვთან, განურჩევლად მისი ასაკისა.

http://phf.org.ge/ka/resources/bavshvis-agzrda-ras-nishnavs-pozitiuri-agzrda-da-kargi-mshobloba/

მოსწავლეებისთვის ასევე მნიშვნელოვნად, პოზიტიურად მოქმედებს მისი **საკლასო ოთახის გარემო**. მეტად საყურადღებოა, თუ როგორ გარემოში უწევს მას ცოდნის მიღება. ამიტომ გასათვალისწინებელია საკლასო ოთახის ფიზიკური გარემოს შექმნა, რომ ბავშვისთვის პრობლემური ქცევის გამომწვევი არ გახდეს. მნიშვნელოვანია საკლასო ოთახში: მაგიდები, სკამები, დაფა და სხვა სასკოლო საგნები განლაგდეს ისე, რომ **ყველა მოსწავლეს თანაბრად შეეძლოს თავისი ადგილიდან მასწავლებლის დანახვა და მოსმენა**, გარდა ამისა, მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რას მოელის მათგან მასწავლებელი სხვადასხვა სიტუაციაში და სხვადასხვა აქტივობის შესრულებაში, გაკვეთილის მსვლელობა ორიენტირებული უნდა იყოს მოსწავლეზე, გამოყენებული იქნას **დიფერენცირებული მიდგომები (მეთოდები), რადგან მოსწავლეების ჩართულობა, დაინტერესება და ცნობისმოყვარეობა აღვძრათ**.

(კნოტ როარ ენგი და რიჩარდ როუზი. შეფასება სწავლისთვის. თბილისი, 2012წ.)

მასწავლებელი მიმართული უნდა იყოს, რომ ბავშვებს შეუქმნას პოზიტიური განწყობა სკოლისადმი. დაარწმუნოს რომ სწავლის პროცესი არა იძულებით, არამედ სახალისო, ბუნებრივ პროცესად აქციოს. ვფიქრობ, დაწყებით კლასებში საგაკვეთილო პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს დიდაქტიკური და როლური თამაშების გამოყენებას, რადგან თამაშებით ლამაზად შეინიღბოს სასწავლო ამოცანები, ტექსტები და მოსწავლე ბუნებრივად, სტრესის გარეშე დაეუფლოს ცოდნას.

როლური თამაში ხელს უწყობს საკითხის სიღრმისეული გააზრების, დისკუსიის, პრეზენტაციის, შემოქმედებითი აზროვნებისა და როლური თამაშის უნარ-ჩვევების განვითარებას. მოსწავლეები თვითშედარებისას კრიტიკულად აფასებენ საკუთარ პერსონაჟს, **აღნიშნავენ თავიანთ ძლიერ და სუსტ მხარეებს, შინაგანად თავისუფლდებიან, იხსნებიან და ლაღდებიან**.

უპირველეს ყოვლისა, კლასში უნდა შეიქმნას ურთიერთპატივისცემის კლიმატი. პირველი კლასიდანვე უნდა იგრძნოს მოსწავლემ, რომ მისდამი ყურადღებას იჩენენ მასწავლებელი და თანაკლასელები, ცდილობენ მხარში ამოუდგნენ, წაახალისონ მისი ყველა მცდელობა.

სასწავლო პროცესის სწორად წარმართვა მასწავლებლისგან დიდ დაკვირვებას, ცოდნასა და პროფესიული უნარების ფლობას მოითხოვს. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მასწავლებლის სასწავლო პროცესისადმი დამოკიდებულება პირდაპირ აისახება მოსწავლეების მოტივაციასა და განწყობაზე, ასევე შედეგებზე. წარმატების წინაპირობა და გარანტიაა პოზიტიური სასწავლო გარემო, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მშობელსა და მასწავლებელს შორის ურთიერთპატივისცემა და ურთიერთანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობები.

(ქცევის მართვა. მაკლეინის ასოციაცია ბავშვებისთვის. თბილისი, 2017წ.)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულს თუ ყოველდღიურად გამოვიყენებთ და გავითვალისწინებთ ამ მიდგომებს, მეთოდებსა და სტრატეგიებს, სკოლაში ბავშვს ნამდვილად შეექმნება პოზიტიური გარემო, ექნება საკუთარი თავის რწმენა, შეიძენს ურთიერთთანამშრომლობის, პრობლემების გადაწყვეტის, თანადგომის უნარს და სწავლის პროცესში ჰარმონიულად ჩაერთვება.

შორენა ბეროშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი.

მოწინავე გამოცდილება

საშინაო დავალებების მნიშვნელობა სწავლა-სწავლების პროცესში

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის სასწავლო სისტემაში სწავლების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია **საშინაო დავალება**. თუ მოსწავლე ჩართულია სწავლის პროცესში, ის მნიშვნელოვან ძალას და ენერგიას ხარჯავს დავალების შესრულებისას და ზრუნავს მის ხარისხზე, რადგან შესრულებულ სამუშაოს მისთვის დიდი ღირებულება აქვს. ასეთი მოსწავლეები გამოხატავენ უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილს და პოზიტიურ დამოკიდებულებას სკოლისა და სწავლის მიმართ. **საშინაო დავალების შესრულებით მოსწავლეები განიმტკიცებენ გაკვეთილზე შეძენილ ცოდნას და ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას, მშობელს კი ეძლევა შესაძლებლობა თვალყური ადევნოს შვილის სასკოლო საქმიანობას (http://mastsavlebeli.ge/?p=1986 საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე). საშინაო დავალება მოსწავლეებს უვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას და არაპირდაპირ ასწავლის დროის მენეჯმენტს, რაც ასე მნიშვნელოვანია XXI საუკუნის ადამიანისათვის.** საშინაო დავალება აფართოებს სწავლის შესაძლებლობებს, პრაქტიკულად **აიძულებს** მოსწავლეს, შინაც არ შეწყვიტოს სწავლის პროცესი და ცოდნა **ხანგრძლივ მეხსიერებაში გადაიტანოს**.

განასხვავებენ აკადემიური და არააკადემიური ტიპის საშინაო დავალებებს (http://mastsavlebeli.ge/?p=2409 **საშინაო დავალება და პრაქტიკა — სასწავლო პროცესის ორი მნიშვნელოვანი მეთოდი**).

სასკოლო პრაქტიკაში გამოიყენება **ინდივიდუალური, ჯგუფური, შემოქმედებითი, დიფერენცირებული, საერთო – მთელი კლასისთვის, დავალება წყვილისთვის, ყოველდღიური და პერსპექტიული სახის დავალებები.**

სამწუხაროდ, ზოგიერთი მშობელი, მოსწავლე და მასწავლებელი მიიჩნევს, რომ **მოსწავლის მიმართ, რომელიც 7-8 საათს ატარებს სკოლაში, უსამართლობაა, სახლში მისულმა, კიდევ სამი საათი საშინაო დავალების მომზადებას მოანდომოს**. მათი აზრით, შინ დაბრუნებულ მოსწავლეს **დასვენება და განტვირთვა სჭირდება**, რადგან ენერგიის აღდგენა და გონების დასვენება უმნიშვნელოვანესია; საშინაო დავალება ამცირებს დროს, რომელსაც მოსწავლე ოჯახის წევრებთან ერთად ატარებს; დროის უქონლობამ კი შეიძლება დააზარალოს ერთმანეთთან ურთიერთობები; მათი აზრით, საშინაო დავალება **მშობელსა და მოსწავლეს შორის იწვევს კონფლიქტს**. კერძოდ, როცა მოსწავლეს **უჭირს დამოუკიდებლად გაართვას თავი საშინაო დავალებას, ცდილობს მისი შესრულებისგან თავის არიდებას**, მშობელი კი აძალებს მას დავალების გაკეთებას, რაც მშობელსა და შვილს შორის კონფლიქტს წარმოქმნის. ხშირად მოსწავლე დათქმულ ვადებში ვერ ასწრებს დავალების შესრულებას, რის შემდეგაც კლასში მოსწავლეებს შორის **ერთმანეთისგან გადაწერის ფაქტი ხდება**. შედეგად ისინი ქულას იღებენ გადაწერაში და არა ცოდნაში. სამწუხაროდ, კლასში მოსწავლეთა რაოდენობის გამო ვერ ხერხდება ყველა მოსწავლის ნამუშევრის ყოველდღიურად ინდივიდუალურად შემოწმება.

ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ საშინაო დავალებას აქვს ბევრი დადებითი მხარე. კერძოდ, იგი **მოსწავლესა და მასწავლებელს აძლევს სიახლოვის საშუალებას**: შეუძლიათ დისკუსია გამართონ ერთმანეთში, გაკვეთილის დაწყებამდე ან მის შემდეგ განიხილონ პრობლემა. საშინაო დავალება აახლოებს ოჯახის წევრებს ერთმანეთთან: მოსწავლე მშობლებს ან დედმამიშვილს გაუგებარი საკითხის ირგვლივ რჩევას ეკითხება (https://edu.aris.ge/news/sashinao-davaleba-dasdja-ar-aris-rekomendaciebi-mshoblebsa-da-maswavleblebs.html **საშინაო დავალება დასჯა არ არის — რეკომენდაციები მშობლებსა და მასწავლებლებს**). ამით მშობლებს ეძლევათ საშუალება უფრო მეტად ჩაერთონ ბავშვის განვითარებაში. მოსწავლეს ეძლევა **საშუალება, მიიღოს გამოცდილება** და სკოლაში უფრო წარმატებული გახდეს; **საშინაო დავალების შესრულება საუკეთესო გზაა პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებისთვის**. იმის ცოდნა, რომ მომდევნო დღეს დავალება მზად უნდა ჰქონდეს, მოსწავლეს **დროის განაწილების და პუნქტუალურობის უნარს უვითარებს** და ბოლოს, საშინაო დავალება **მშობელს** აძლევს საშუალებას, აკონტროლოს მოსწავლის განათლება და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს მას.

მნიშვნელოვანია, რომ საშინაო დავალებები იყოს მრავალფეროვანი, რითაც ხელს შევუწყობთ მოსწავლეებში სხვადასხვა პიროვნული თვისების ჩამოყალიბებას; სახლში დავალება მხოლოდ მაშინ მივცეთ, როდესაც დარწმუნებული ვართ, რომ გაკვეთილზე შევძლებთ მის შემოწმებასა და შეფასებას, ამიტომ გაკვეთილის დაგეგმვისას არ უნდა დავივიწყოთ საშინაო დავალების დაგეგმვა და ამისთვის დროის გამოყოფა; არ არის აუცილებელი, საშინაო დავალება ყველა მოსწავლისთვის ერთნაირი რაოდენობის იყოს; **გაკვეთილზე აუცილებლად უნდა მოვახერხოთ მოსწავლეთა უნარების შემოწმება**, რათა დავრწმუნდეთ, რომ იგი სახლში შეძლებს მიცემული დავალების შესრულებას; დავალებად მივცეთ მხოლოდ ისეთი სამუშაო, რომლის შესრულების მეთოდებსაც უკვე ფლობენ და „გამომგონებლობა“ არ დასჭირდებათ; **დიფერენცირებული დავალება მივცეთ მხოლოდ ინდივიდუალური მუშაობის უნარების განსამტკიცებლად**.

მაია მეტონიძე,
თბილისის 117-ე საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი.

მეთოდიკა

ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაცია, როგორც საგანმანათლებლო რესურსი

თანამედროვე სკოლა, რეალურად, მუდმივად დგას იმ გამოწვევის წინაშე,რასაც 21-ე საუკუნის მოსწავლის ინტერესების მობილიზება,მოტივაციის შექმნა-შენარჩუნება და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა გულისხმობს. ამისთვის კი საჭიროა სკოლამ უპასუხოს დროის გამოწვევას, რათა გახადოს სწავლების პროცესი მისაღები და საინტერესო მოსწავლეებისთვის.

„საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების შედეგად, თანამედროვე სამყაროში ტრადიციულ ტექსტებთან ერთად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მულტიმედიურმა ტექსტებმა, რომელიც ერთდროულად იყენებს ენობრივ,ხმოვან და ვიზუალურ საშუალებებს , ამიტომ, აუცილებელია, მოსწავლემ შეძლოს ,ერთი მხრივ, ამ ვიზუალური საშუალებების აღქმა-გაანალიზება, ინტერპრეტირება ,კრიტიკული შეფასება ,და მეორე მხრივ ,გამოყენება საგანმანათლებლო სივრცეში“. file:///C:/Users/Tamuna/Downloads/2447%20(1).pdf

ამ თვალსაზრისით ვფიქრობ, საინტერესოა ფილმის ,როგორც საგანმანათლებლო რესურსის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, „ სასწავლო პროცესში ფილმების გამოყენება მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ბევრად უფრო მრავალფეროვანი და საინტერესო გახადონ სწავლების (http://mastsavlebeli.ge/?p=4098)

მეთოდი ხელს შეუწყობს კომუნიკაციის, კრიტიკული, ანალიტიკური და ინტერპრეტირების უნარის განვითარებას.

ფილმის, როგორც საგანმანათლებლო რესურსის გამოყენება ეფექტურია ისტორიის, ხელოვნების, გეოგრაფიის და რაღა თქმა უნდა, ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე, სწავლების ნებისმიერ საფეხურზე, თუმცა, იგი განსაკუთრებულად მიზანშეწონილად მიმაჩნია საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის, რადგან ამ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების უმრავლესობა ეკრანიზებულია. მაგ: **ი. ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივი“, ალ.ყაზბეგის „ხევისბერი გოჩა“, კონსტანტინე განსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ გ. რჩეულიშვილის „ალავერდობა“, გ. დოჩანაშვილის „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, ვაჟა-ფშაველას პოემები: „ალუდა ქეთელაური“; „სტუმარ -მასპინძელი“** და ა.შ.

რით არის მნიშვნელოვანი და სასარგებლო ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაციის, როგორც სასწავლო რესურსის ჩართვა საგაკვეთილო სწავლებაში?

ნაწარმოების კითხვა პირველი და უმთავრესი ნაბიჯია, ამ დროს მოსწავლის წარმოსახვა აქტიურდება, იგი ნაწარმოებს, მასში აღწერილ პერსონაჟებს საკუთარ წარმოსახვაში ქმნის, ხოლო შემდგომ ეტაპზე, როდესაც მას მიზნობრივად სთავაზობ, წინასწარ შემუშავებული და მომზადებული ფორმით (კითხვები, რომლებსაც უნდა გაეცეს პასუხი ფილმის ბოლოს) ამავე ნაწარმოების ეკრანიზაციას, ეს მას უღვიძებს მოლოდინს შეხვდეს თავისი წარმოსახვით შექმნილ სინამდვილეს ხელშესახები ფორმით, ეს უკვე გამოწვევაა .ხოლო თუ მისი და რეჟისორის ხედვა არ ემთხვევა ერთმანეთს, ვთქვათ, პერსონაჟის პორტრეტთან დაკავშირებით, იგი იწყებს იმის გაანალიზებას, რატომ შეარჩია რეჟისორმა ესა თუ ის პერსონაჟი, ცდილობს შეხედოს მას სხვისი(რეჟისორის)თვალით, მსჯელობს მეტყველების თავისებურებაზე, შესრულების ხელოვნებაზე, ხმაზე, ჩაცმულობაზე (ე. ი. აანალიზებს მხატვრულ სახეს), ეს უკვე **კრიტიკული აზროვნებაა;**

განსაკუთრებით საინტერესოა ფილმში წარმოდგენილი ინტერპრეტაციები (მაგ,გიორგის გარდაცვალების მიზეზი „ოთარაანთ ქვრივში“), დასასრულის განსხვავებული გადაწყვეტა რეჟისორის მიერ („მაგდანას ლურჯა“), იმ თვალსაზრისით, რომ იგი ყოველთვის წარმოქმნის ემოციას, აზრთა სხვადასხვაობას, დისკუსიას, რაც კრიტიკული ანალიზის, **დეტალებზე დაკვირვებისა** და საკუთარი აზრის **არგუმენტირების უნარს** ავითარებს, ნაწარმოების აღქმის პროცესს ცოცხალს, ღრმას და ხანგრძლივად დასამახსოვრებელს (თუ დაუვიწყარს არა) ხდის.

ლიტერტატურული ნაწარმოების ეკრანიზაციის განსაკუთრებული ხიბლი ისაა, რომ იგი ხელოვნების სხვადასხვა დარგებს აერთიანებს, მაგ: მუსიკა, პლასტიკური ხელოვნება, დეკორაცია, ფერი, რაც მოსწავლის მრავალმხრივი ინტელექტის ხელშემწყობი ფაქტორია. ასევე აუცილებლად უნდა აღინიშნოს თავად ის ფაქტიც, რომ ამ დროს ერთმანეთს ხვდება სამი სხვადასხვა (ხშირად მეტიც,არსებობს ერთსა და იმავე ფილმზე სხვადასხვა დროს გადაღებული რამდენიმე ეკრანიზაცია) პერიოდის ადამიანი, მწერალი (შექმნის დრო). რეჟისორი (ეკრანიზაციის პერიოდი) და მკითხველი (მოსწავლე), ამის გაანალიზება ეხმარება მოსწავლეს **აზროვნების გაფართოებაში.**

გარდა ამისა, ფილმის საშუალებით მოსწავლეებისთვის საუკუნეების მიღმა მყოფი პერსონაჟები რეალურ სახეებად იქცევიან, ნამდვილებად, თავისიანებად, რაც მეტ **ემპაიას** აღუძრავთ მათ მიმართ.

იმისათვის, რომ ფილმის გამოყენება სასწავლო რესურსად იყოს ეფექტური, აუცილებელია მისი ჩართვა საგაკვეთილო პროცესში კარგად იყოს დაგეგმილი მასწავლებლის მიერ, რაც ბუნებრივია, წინასწარ მომზადებას გულისხმობს.

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, ფილმის ჩვენება ნაწარმოების გაცნობის, შესწავლისა და გაანალიზების შემდეგ და მოსწავლეებისთვის დავალების წინასწარ მიცემა კითხვების სახით, შესაძლოა ჯგუფებადაც დავავალოთ რომელიმე საკითხის გააზრება.

ასევე, აუცილებელია უკუკავშირი, ფილმისა და ნაწარმოების შედარებითი ანალიზისთვის. შთაბეჭდილებების გაზიარება, რაც **რეცენზირებისთვის საჭირო ცოდნისა და უნარის შეძენის** კარგი საშუალებაა.

ამგვარი მეთოდის ერთ-ერთ პრიორიტეტად მიმაჩნია ისიც, რომ იგი გაკვეთილზე მოსწავლეთა თითქმის **აბსოლუტურ ჩართულობას** უზრუნველყოფს, რადგან ფილმი ყველას უყვარს და ემოციის გაზიარებაც ნაკლებად ფორმალურ გარემოში უფრო ადვილი და სასიამოვნოა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ის **პოზიტიური კომუნიკაცია,** რაც ასეთი ტიპის სწავლებისას მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ყალიბდება, მასწავლებელს შესაძლებლობა ეძლევა უფრო მეტად გაიგოს თავისი მოსწავლეების ემოციები, დამოკიდებულებები, გემოვნება. პოზიტიური ურთიერთობა კი სწავლების უკეთესი შედეგის მომტანია.

ლიტერატურული ნაწარმოებების ეკრანიზაცია, როგორც სასწავლო რესურსის, ჩემ მიერ ჩამოთვლილი დადებითი მახასიათებლები ეყრდნობა ამგვარი სწავლებიდან მიღებულ მოსწავლეთა შეფასებებს.

თამარ ონიანი,
83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

ლიტერატურულ სამყაროში

იუბილე ეროვნული სულისკვეთებით



მწერალთა სახლში, პოეტისა და ჟურნალ **„ათინათის“** რედაქტორის, **ჯუმბერ ლეჟავას** სახელობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის **გულნაზ**

ხარაიშვილის პოეზიის საღამო გაიმართა, რომელსაც საინტერესოდ, ემოციურად უძღვებოდა მსახიობი და ხონის კულტურის სახლის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი **გულიადა სანოძე.**

მრავალმხრივად ნიჭიერი ქალბატონის **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებას კარგად იცნობენ პოეზიის მრავალრიცხოვანი მოყვარულები, იგი, **ცხრა პოეტური კრებულის** ავტორია და დიდი დამსახურება მიუძღვის ჟურნალისტიკის სფეროშიც. **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებაში მთავარი პატრიოტული სულისკვეთებაა, პოეზიაში კი, - დიდი ილიასეული შეგონება „მამული, ენა და სარწმუნოება“. მის პოეზიას ამშვენებს ლირიკული ლექსები. მრავალმხრივად ნიჭიერი ქალბატონი გამოირჩევა სიკეთით, ქველმოქმედებითა და ახალგაზრდებისადმი მხარში დგომით. ამიტომაც მას, როგორც საკუთარ დედას, ისე მიმართავენ და ჯუმბერ ლეჟავას აკადემიას „სიყვარულის აკადემიას“ უწოდებენ.

- საღამოს სტუმარიც და მასპინძელიც თავად გახლავართ! - ომახიანად განაცხადა საიუბილეო საღამოს წამყვანმა და წარმოგვიდგინა ხონის კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის მოსწავლეები, რომლებმაც მოკლედ ისაუბრეს **გულნაზ ხარაიშვილის** შემოქმედებაზე წაიკითხეს რჩეული-პოეტის ლექსები.

საღამოზე პოეზიას მუსიკა და სიმღერა ენაცვლებოდა. ღონისძიებას სასიამოვნო ელფერი შესძინა ხალხურმა ანსამბლმა **„ლომისი“** ხელმძღვანელი **შალვა ილურიძე.** ასევე მონაწილეობდა ჯგუფი **„ზღვარის“** სოლისტები, პოეტები: **კახა ბაციკაძე** და **სერგი ლომაძე.**

საიუბილეო საღამო გულთბილი სიტყვებით დაამშვენა პოეტმა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **მაყვალა გონაშვილმა.** მან მიულოცა ქალბატონ გულნაზის იუბილე და ისაუბრა მის დიდ ღვაწლზე, აქვე საქებარი სიტყვები არ დაიშურა **გულიადა სანოძისა** და მისი მოსწავლეების, ხონის პირველი საჯარო სკოლის და მისი აღსაზრდელების მისამართით, ახალგაზრდებმა ღირსეულად წარმოაჩინეს თავიანთი კუთხე და სკოლაც ასახელეს. საღამოს ესწრებოდა ხონის საჯარო სკოლის დირექტორი **შორენა კაპანაძე.**

ღონისძიებაში ძირითადად მონაწილეობდნენ ხონის 1 საჯარო სკოლის მოსწავლეები: **მარიამ ღოლობერიძე** (მე-8 კლასი), **გიორგი უგრეხელიძე** (მე-8), **ვასილ აგლაძე** (მე-9 კლასი), **საბა ჯიმშელეიშვილი** (მე-5), **დათო ლიპარტელიანი, დათო ჩანქსელიანი** (მე-4), **გიორგი ჩიღლაძე** (მე-5). ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ ხონის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **მანანა დოფოძე,** კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე **ვანერი ონიანი,** ხელოვანი **ნაზი ჯიქია,** პოეტი **ნათია დაშნიანი**, ქუთაისის **აკაკი წერეთლის** სახელობის უნივერსიტეტის მე-2 კურსის სტუდენტი **ნინო ბახტაძე** და მე-2 კურსის სტუდენტი **გურამ ჯიშკარიანი,** სეუს I კურსის სტუდენტი **ზიზი ფარულავა.** საღამოზე იუბილარმა ყველა მონაწილე ახალგაზრდას საჩუქრად სამახსოვრო სიგელები გადასცა.

ხონის კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის ხელმძღვანელი **გულიადა სანოძე** შესანიშნავი დეკლამატორი და მსახიობია. მას არაერთი როლი აქვს ნათამაშები, მათ შორის **„მაია წყნეთელი“.** ქალბატონი გულია ბილარის საყვარელი სიმღერა **„ჩემი ლირიკა“.**

როგორც ზემოთ ვთქვით, საღამოს ასევე, ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე **მაყვალა გონაშვილი,** მხატვართა კავშირის თავჯდომარე **გურამ ცერცვაძე,** პოეტის აწ გარდაცვლილი ძმის **ბეჟან ხარაიშვილის** მეგობრები პოეტი **ერეკლე საღლიანი,** ლიტერატორი **ლევან ბაბუხადია,** მოქანდაკე **გელა ლარიაშვილი,** რომელმაც სიზმარში ნანახი და ასევე, გახლავთ ჯუმბერ ლეჟავას აკადემიის ხონის ფილიალის ვიცე-პრეზიდენტი.

მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა პოეტის პატრიოტულ ლექსებზე შესრულებულმა სიმღერებმა: **„რა ჩუმად შემოსულხარ ჩემში“, „მინდა კოცონი ლექსით დავანთო“.** ასევე, დიდი ოვაციები გამოიწვია **„ლომისი“**-ს მიერ შესრულებულმა სიმღერამ **„სიკვდილი უკვე რწმენით ჩავლობე“**, რომლის ტექსტი **გულნაზ ხარაიშვილმა** უწმინდესს და უნეტარეს ილია მეორეს მიუძღვნა. საღამოზე ჯგუფ **„ზღვარი“**-ს სოლისტმა **კახა ბაციკაძემ** შეასრულა იუბილარის საყვარელი სიმღერა **„ჩემი ლირიკა“.**

როგორც ზემოთ ვთქვით, საღამოს ასევე, ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის თავჯდომარის მოადგილე **მაყვალა გონაშვილი,** მხატვართა კავშირის თავჯდომარე **გურამ ცერცვაძე,** პოეტის აწ გარდაცვლილი ძმის **ბეჟან ხარაიშვილის** მეგობრები პოეტი **ერეკლე საღლიანი,** ლიტერატორი **ლევან ბაბუხადია,** მოქანდაკე **გელა ლარიაშვილი,** რომელმაც სიზმარში ნანახი პორტრეტის ესკიზი შექმნა და შემდეგ ბიუსტი გამოაქანდაკა. ბეჟანის შვილიშვილმა **გვანცა ხარაიშვილმა** კი, ქალბატონ გულნაზის ლექსით მიულოცა იუბილე.

საიუბილეო საღამოს მაღალ დონეზე წარმართვისთვის **გულნაზ ხარაიშვილმა**, ხონის მუნიციპალიტეტსა და კულტურის ცენტრის ლიტერატურული წრის წარმომადგენლებს, სოციალური ქსელით მადლობის წერილი მიუძღვნა.

მართლაც ლამაზი ლიტერატურული ზეიმი იყო, მარად დაუვიწყარი.

მზია გოგოძე

არდადეგები და სკოლა გელოდებათ, მე-8 ბაგა-ბაღელებო!

მალე პირველ კლასში მომზადებულებს გააცილებენ

- ერთიანობა და გუნდურობა, ჩვენი მუშაობის პრინციპი და სტილია. ამიტომაც ვაღწევთ წარმატებებს- ასე დაიწყო ჩვენთან საუბარი თბილისის მე-8 ბაგა-ბაღის დირექტორმა **ჟუჟუნა (ფისო) სარსევანიძე-ჩაჩიბაიამ,** რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ აღსაზრდელებს კომფორტული გარემო შეუქმნას, რომ მათ ბაღში გატარებული დღეები მთელი ცხოვრება დაამახსოვრდეთ. გაოთხი, ახლა კი შვიდი ჯგუფია. ინფრასტრუქტურა კი, აბსოლუტურად მოწესრიგებულია და ბაგა-ბაღების სააგენტოს თანადგომით, ბაღი კიდევ უფრო დამშვენდა. შენობა საკმაოდ ძველია, 1938 წელს არის აშენებული, მაგრამ საკმაოდ მყარია და პატარებისთვის შესაბამისი გარემოა შექმნილი. ერთი სიტყვით, დიდი სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, შეკეთდა სახურავი და ბაგა-ბაღი აღიჭურვა თანამედროვე საჭირო ინვენტარით.რაც შეეხება ეზოს, მისი რექონსტრუქცია ახლაც მიმდინარეობს, თუმცა, უკვე შეცვლილია ღობეც და ჭიშკარიც. მშობლების, თანამშრომლების სახელით დირექტორი მადლობას უცხადებს დედაქალაქის მერიას, კერძოდ ბაგა-ბაღების სააგენტოს უფროსს **კახა გვანცელაძეს** მხარში დგომისათვის.

საბავშვო დაწესებულებაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პატარების შემოქმედებითი უნარების განვითარებას. აქაური აღსაზრდელები არაერთხელ გამოსულან ფართო საზოგადოების წინაშე და მაყურებელთა დიდი სიმპათიები დაუმსახურებიათ.

მოცდილი პედაგოგი 12 წელიწადია ბაღს უდგას სათავეში და ამ ხნის მანძილზე არაერთი წარმატებული საქმე განახორციელა. თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა ბავშვთა რაოდენობა, იყო

მე-8 ბაგა-ბაღი ყოველთვის გამოირჩეოდა წესრიგით, მაღალკვალიფიციური კადრებით, ტრადიცია დღესაც გრძელდება. აქ შესვლისთანავე იგრძნობთ სისუფთავეს და წესრიგს. სანჰიგიენური წესები უმაღლეს

– 78. ცეროდენები შესანიშნავად არიან მომზადებულები სასკოლოდ. აქ ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები და სეზონური ზეიმები. განსაკუთრებით აღინიშნა დაუნის სინდრომის დღე **„მეგობრები ქრომოსომებს არ ითვლიან“.** 21 მარტს, ბაგა-ბაღის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს გამოფენში, სახელწოდებით **„ბავშვები ბავშვებისთვის“,** რომელიც თავართქილაძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა. აღნიშნულ ღონისძიებაში ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღო

ნავენ ბაღის კეთილდღეობასა და პატარებისათვის კომფორტული გარემოს შექმნაზე. აღმზრდელობითი პროცესი მაღალ დონეზე მიმდინარეობს. ამჟამად, ბაღში 232 აღსაზრდელია, **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფში კი

დირექტორის შვილმა მე-8 საჯარო სკოლის მოსწავლემ **მარიამ ჩაჩიბაიამ**.

ბაღის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის **სოფო კილაძის** მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში **„მხიარული სტარტები“,** რომელიც 49-ე ბაგა-ბაღში გაიმართა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს დირექტორის მოადგილის **მარიკა ხანთაძის**, საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორის **ირმა ასლანიშვილის**, ფსიქოლოგ **მანანა მაისურაძის,** ლოგოპედ **მაია ზანდუკელის,** სამეურნეო ნაწილის გამგის **ელზა მელიქიშვილის** თავდაუზოგავი შრომა. ასევე, მადლობას იმსახურებენ ჰიგიენის კოორდინატორი **ირინე ყურაშვილი,** სპეციალური პედაგოგი **თამარ სითათაშვილი,** ლოგოპედი **მაია ზანდუკელი,** საქმისმწარმოებლები **მზია არაბული** და **ხათუნა ქსოვრელი.** პატარების

გამხიარულებაზე ზრუნავს და ხელოვნებას აზიარებს მუსიკის მასწავლებელი **ქეთევან ჩხაიძე.**

პატარებს გემრიელ კერძებს უმზადებენ მზარეული და მისი დამხმარეები: **მარინე ზილინაშვილი, ლიანა ივანიშვილი** და მათი დამხმარე **ეკა ნაგელიშვილი.** მათი გაკეთებული კერძები ცეროდენებს შინ დამზადებულს ურჩევნიათ.

პატარებზე განსაკუთრებით ზრუნავენ აღმზრდელები: **ირმა ნარიმანიძე, მეგი გოგაშვილი, მაია მანჯგალაძე, ნანი კენკებაშვილი, ხათუნა ჭინჭარაული, ზოია ევანისელი, ნატალია დაუთაშვილი, ლია გოგოლაძე, ასმათ გიუნაშვილი, ლია გაბადაძე, ფიქრია ოქრიაშვილი, მარინე მერებაშვილი, მაია ეგრისელაშვილი** და **ანა გრიგალაშვილი.**

აღმზრდელებს გვერდში უდგანან თანაშემწეები: **იზა ცაბაძე, რუსუდან ხორბალაძე, ზეინაბ თამაზაშვილი, დალი ფაილოძე, ირმა ბურდული,ნანა ჩლაიძე** და **ნონა შეროზია.**

მე-8 ბაგა-ბაღი პოპულარული და მიმზიდველი რომ არის, ეს ბაღის თითოეული თანამშრომლის დამსახურებაა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ტექპერსონალს: **გელა ჩაჩიბაია, რუიზანი სიხუაშვილი, ნათელა ჯახაშვილი, ნათია ედიშერაშვილი, ნატალია ვარსემაშვილი, ბელა წიკლაური, თინა მუქერია, ნუგზარ თელია, ქეთინო ბერიძე, ნათია ზარიძე** და **გვანცა პეტროვას** შემადგენლობით.

აღსანიშნავია, რომ მე-8 ბაღის თანამშრომლები ერთ გუნდად არიან შეკრულნი და დღედაღამ ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდაზე.ბაღის დირექტორი და მთელი კოლექტივი, თავდაუზოგავად იღწვიან იმისთვის, რომ ეს საბავშვო დაწესებულება იყოს კომფორტული და პატარებისთვის მიმზიდველი. ბაღი დიდი პოპულარობით სარგებლობს უბანში. ამჟამად კი, აქ გამოსაშვები ზეიმისთვის ემზადებიან და აღსაზრდელებს სკოლაში კარგად მომზადებულებს გააცილებენ. მხიარული არდადეგები და პირველი კლასი გელოდებათ, მე-8 ბაგა-ბაღელებო.

ანანო სამელია

არდადეგები და სკოლა გელოდებათ, 22-ე ბაგა-ბაღებო!

შაშვის გალობა, ბულბულის სტვენა და დედობრივი მზრუნველობა



სკოლამდელი განათლების სისტემაში ქვეყანაში განვითარებული სიახლეების, ახალი ხედვებისა და გამოწვევების დანერგვაზე ყოველდღიურად ზრუნავენ თბილისის 22-ე ბაგა-ბაღში, რომელსაც 2016 წლიდან ცნობილი პედაგოგი **ნინო გვრიტიშვილი** ხელმძღვანელობს. მოწესრიგებული ფიზიკური გარემო და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალი დონე განსაზღვრავს მიმღებლობისა და მოთხოვნადობის ზრდას. მას შემდეგ, რაც ამ ბაღს სათავეში ქალბატონი ნინო ჩაუდგა, კოლეგიალური, შემოქმედებითი, პატივისცემასა და ურთიერთანამშრომლობაზე დამყარებული ურთიერთობებით, ამ კოლექტივმა დიდ წარმატებას მიაღწია.

წელს სკოლამდელი დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორებმა გადამზადება გაიარეს და სერთიფიცირებულებს საშუალება მიეცათ ტრენინგები ჩაუტარონ აღმზრდელ-პედაგოგებს. მეთოდისტი **მაკა მამულაშვილი** წარმატებით უძღვება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესს – ეტაპობრივად ინერგება ახალი მეთოდიკა, ჩართულები არიან ეფექტიან პროექტებსა და აქტივობებში: საშემოდგომო, საახალწლო, დედაენისა თუ დედამიწის დღისადმი მიძღვნილი; საჩვენებელი საგაზაფხულო ღონისძიება ყველა ასაკობრივ ჯგუფსა და მზაობის ჯგუფებისათვის დამამთავრებელი – **„გზა სკოლისაკენ“**. **მაკა მამულაშვილი**: ჩვენი ბაღის აღმზრდელები ამ ზაფხულს ჩაერთვებიან აგრეთვე იმ სიახლეში, რომელსაც საგენტო ატარებს ბაგა-ბაღების აღმზრდელთა პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებით, გაივლიან ტრენინგ-კურსს, რომლის შემდეგაც დაურიგდებათ სერტიფიკატები.

ბაგა-ბაღში 4 მზაობის ჯგუფია: **„მერცხლები“** – **ნანა ჯავახია** და **მაკა მამაცაშვილი**; **„ბემბი“**– **ნინო მაისურაძე, ხათუნა თოდუა** და **სოფიო კოჟარა**; **„დათუნები“** – **ირინე მაისურაძე, მაია ჩაკვეტაძე-გოგოლაძე** და **თამუნა გვრიტიშვილი**; **„ბაჭიები“** – **შორენა ენუქიძე** და **ლარა ჭიღლაძე**; სადაც ტარდება მოძრავი თამაშები აღსაზრდელთა მოტორული უნარების განსავითარებლად, აქვთ კითხვის დრო, საქმიანობენ მცირე ჯგუფებში, დღის ბოლოს ატარებენ შემაჯამებელ შეხვედრებს. წიგნიერების, ხელოვნების, მათემატიკის, მუსიკისა და სენსორული მოტორიკის ცენტრებში, სადაც ბავშვები სურვილის მიხედვით ნაწილდებიან, სწავლობენ მათემატიკურ ანგარიშს, ლოგიკურ აზროვნებას, ატარებენ სხვადასხვა აქტივობას, მაგალითად როგორ იქმნება ნივთები და გააკეთეს წიგნის სანიშნეები, ან თემა ცხოველებზე, შინაურ ფრინველებზე და სხვა.

ბავშვებისათვის შესაბამისი სივრცე-გარემოს შექმნაში თავიანთი წვლილი შეაქვთ – დირექტორის მოადგილე **ხათუნა აბაშიძეს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **ია ბელთაძესა** და საქმისმწარმოებლებს: **მარინე არაბულსა** და **მაია ბალახაშვილს**;

ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, საუკეთესოდ წარმართავენ სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს აღმზრდელები: **ანა საბაძე, თინათინ სავაძე, გულნაზ კიკნაძე, მზია ვაზაგაშვილი, ნანული ძებისაშვილი, თეა ორჯონიკიძე, თამარ სინატაშვილი, ნელი მეგრელიშვილი, თამარ სალუქვაძე**;

თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით გაჯერებულ ჯგუფებში თითოეულ პატარაზე ზრუნავენ აღმზრდელის თანაშემწეები: **ნონა ჯავახიძე, ლალი ბერიკაშვილი, ლალი ბუაძე, მანანა კურდღელაშვილი, მარიამ ჯავახიშვილი, ლედი ტარტარაშვილი, მარინე კუცია, ჯილდა ვახანია, ნინო შონია, თეა მეტონიძე**;

ბაღში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული ჯგუფი – ფსიქოლოგი **პელაგია აღაშვილი**, ლოგოპედი **ნანული გეგუჩაძე**, სპეც.პედაგოგი ქეთევან აკოფაშვილი, მეთოდისტი **მაკა მამულაშვილი** – რომელიც მშობლებთან ერთად ახორციელებს გრძელვადიანი მიზნებისა და სტრატეგიების განსაზღვრას და ინდივიდუალური განვითარების გეგმის წარმოებას. ბაღში 13 განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვია, რომლებიც ინკლუზიური განათლების ფარგლებში ჩართულები არიან ჩვეულებრივ ჯგუფებში.

ზღაპრების სამყაროს ლამაზად გაფორმებულ დარბაზში ჩატარებული ყველა აქტივობისა თუ ღონისძიების სულისჩამდგმელები არიან მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: **ნათელა ჩაჩიბაია**, **ქეთევან ხვედელიძე** და **ნათელა ჭიაბერაშვილი**;

ბაღში კეთილმოწყო სამზარეულო, ბევრი საჭირო ნივთი და დანადგარი შეიცვალა, დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, რომელიც დადგენილ მოთხოვნებს აკმაყოფილებს. პატარების ჯანმრთელობაზე ზრუნავენ ჯანმრთელობის და ჰიგიენური დაცვის კოორდინატორები **ელენე არღვლიანი** და **ნათელა დარსაველიძე**, რომლებიც მუდმივად ახორციელებენ როგორც აღსაზრდელების, ისე სამზარეულოს მონიტორინგს, სადაც **მაია ამირანაშვილი, მერი კოკაია, ნანა მამაცაშვილი** და **ოლღა ლეშკაშელი** უგემრიელეს კერძებს ამზადებენ.

ბაგა-ბაღის მოვლა-პატრონობასა და სისუფთავეზე ზრუნავს ტექნიკური პერსონალი: **ნანა ბოკუჩავა, მანანა ბერიანიძე, თინა თოდუა, მარინე აბაშიძე, მანანა სიხარულიძე, ევგენია მალხასიანი, თამარ სურამლიშვილი, ჯულიეტა ლობჯანიძე, ნინო არჩვაძე, ლუბა სამხარაძე, ეკა ლალაშვილი, მანანა ჯლანტიაშვილი, ეკატერინე ბარნაბიშვილი, ელენე ბურდული, მაკა მგელაძე;**

ნინო გვრიტიშვილი: ჩემი თითოეული თანამშრომელი მუხლჩაუხრელად შრომობს, მთელი დღის მანძილზე მერცხლებივით ჭიკჭიკებენ, დედობრივი სიყვარულით ზრუნავენ პატარებზე. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, იგი ყოველწიურად განახლებული ხვდება აღსაზრდელებს და წელსაც ზაფხულის დიდი მოლოდინი გვაქვს – შეიცვლება იატაკები, დაიწყება ეზოში ბავშვთა სათამაშო მოედნისა და მასზე დასამონტაჟებელი ატრაქციონების მოწყობა, გაკეთდება კაუჩუკის საფარი.

დიდია ის სითბო და გულისხმიერება, რასაც ამ ბაღის კოლექტივი პატარებისთვის გასცემს და მათი შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით აქ ცხოვრება ხალისიანად მიდის. ზოგიერთს მხიარული არდადეგების დაწყება მივულოცოთ, ხოლო დანარჩენებს სკოლის გზა დავულოცოთ.

ნათია გუგუნავა

ზოგადი განათლება

„დედა ენის“ კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა გაიმართა

საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, ქართული საანბანე სახელმძღვანელოს იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით მოამზადებს და სასწავლო პროცესისთვის დაბეჭდავს.

ამ მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის **მიხეილ ბატიაშვილის** თავმჯდომარეობით **„დედა ენის“** კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა გაიმართა, სადაც ის ძირითადი პრინციპები განისაზღვრა, რომლის საფუძველზეც ახალი სასწავლო წლიდან სკოლებში „დედა ენის“ სახელმძღვანელო დამატებითი სასწავლო რესურსის სახით შევა.

მიხეილ ბატიაშვილმა კომისიის წევრებს მადლობა გადაუხადა აქტიური ჩართულობისთვის და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი, რომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე **„დედა ენის“** მიმართ საზოგადოებაში არნახული მოლოდინი არსებობს. ამიტომ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ახალი სახელმძღვანელო ერთის მხრივ ეფუძნებოდეს იმ ეროვნულ და კულტურულ საფუძველს, რასაც გოგებაშვილის „დედა ენა“ ჰქვია, მეორეს მხრივ კი, ითვალისწინებდეს სწავლების მიმართ თანამედროვე მიდგომებს.

სწორედ ამ მიზნით საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის თავჯდომარეობით შექმნილია სპეციალიზებული კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან მინისტრის მოადგილე **ირინა აბულაძე,** საქართველოს პარლამენტის წევრები, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში** და დეპუტატი **ზაზა გაბუნია,** აკადემიკოსები **ავთანდილ არაბული** და მზექალა შანიძე, პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი,** ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი **გიორგი კეკელიძე,** ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი **ზაზა აბაშიძე,** ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი **დავით ლორთქიფანიძე,** სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი,** მხატვარი **მანანა მორჩილაძე,** იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე **დეკანოზი კონსტანტინე (კახა) გიორგაძე** და პედაგოგი **მარინე გოგავა.**

საქართველოს „ზოგადი განათლების შესახებ კანონის“ თანახმად, კომისიის შექმნის მიზანია როგორც ეროვნული მნიშვნელობის კატეგორიის ძეგლის ან კაცობრიობის არამატერიალური მემკვიდრეობის რეპრეზენტაციულ სიაში შეტანილი არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საფუძველზე სახელმძღვანელოს/სერიის შემუშავება და გრიფირებისათვის წარდგენა, ასევე ამავე ძეგლის საფუძველზე შექმნილი ალტერნატიული სახელმძღვანელოების/სერიების ძეგლთან შესაბამისობის დადგენა.

კომისიის შეკრება მუდმივ რეჟიმში განხორციელდება. შემუშავდება ახალი სახელმძღვანელო, რომელიც გრიფის მინიჭების შემდეგ სხვა ალტერნატიულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად სკოლებს ასარჩევად წარედგინება. შესაბამისად, 2019-2020 სასწავლო წლისთვის **„დედაენის“** სახელმძღვანელო ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის შესაბამის მოსწავლეს უფასოდ გადაეცემა.

მიხეილ ბატიაშვილი: „ყველა სტუდენტს, მეცნიერს, მკვლევარსა და დაინტერესებულ ადამიანს ელსევიერ-ის ძალიან ძვირადღირებულ სამეცნიერო ბაზებზე სრული წვდომა ექნება“

განათლების რეფორმის ფარგლებში შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და მსოფლიოს უმსხვილეს სამეცნიერო ბაზას - Elsevier-ს შორის თანამშრომლობის ახალი ეტაპი იწყება, რომლის ფარგლებში საქართველოში აკრედიტირებულ ყველა სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებელს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და კვლევით ცენტრებს Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე წვდომა შეუფერხებლად ექნებათ.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სრული დაფინანსებით ქართველ მეცნიერებს, პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს თავიანთი უნივერსიტეტებიდან შეეძლებათ ისარგებლონ ისეთი ბაზების სამეცნიერო რესურსებით, როგორებიცაა: Scopus da Science Direct, Funding Institutional (Scival Funding). მათთვის ხელმისაწვდომი გახდება მსოფლიოში გამოქვეყნებული უახლესი სამეცნიერო ლიტერატურა (სამეცნიერო სტატიები, წიგნები, აბსტრაქტები) და კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი სიახლეები. შესაბამისად, მსოფლიოს უმსხვილესი სამეცნიერო ბაზის Elsevier-ის საქართველოს კონსორციუმის წევრთა რაოდენობა 21-დან 55-მდე გაიზარდა.

მეცნიერების სფეროში განხორციელებული აღნიშნული ნოვაციის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა,** შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დირექტორმა **ზვიად გაბისონიამ** პრეზენტაცია გამართეს, რომელსაც Elsevier-ის კონსორციუმის წევრები - საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები, ახალგაზრდა მეცნიერები და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

„ყველა სტუდენტს, მეცნიერს, მკვლევარსა და დაინტერესებულ ადამიანს Elsevier-ის ძალიან ძვირადღირებულ სამეცნიერო ბაზებზე სრული წვდომა ექნება“— განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა **მიხეილ ბატიაშვილმა,** რომელმაც Elsevier-ის ბაზებზე წვდომის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა და ხაზი გაუსვა, რომ ეს საქართველოსთვის და ქართველი მეცნიერებისთვის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

Elsevier-ის სამეცნიერო ბაზებზე წვდომა ხელს შეუწყობს როგორც ქართველ მეცნიერთა საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებას, ასევე საქართველოში სამეცნიერო დარგების განვითარებას და ანალიტიკური ინფორმაციის მიღების საფუძველზე, მეცნიერების პოლიტიკისა და მართვის სფეროს გაუმჯობესებას.

განათლების რეფორმის ფარგლებში განათლების სამინისტრომ მეცნიერების მიმართულებით რამდენიმე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი განსაზღვრა, კერძოდ, ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციის სისტემასთან მეტი ინტეგრაცია, მეცნიერების პოპულარიზაცია და ***ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა,*** *მეცნიერების დაფინანსების მოქნილი და ეფექტური სქემების შემუშავება, მეცნიერებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის ინიცირება და განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო კვლევების შედეგების კომერციალიზაცია.*

მეთოდიკა

ლიტერატურული პარალელები ჯემალ ქარჩხაძის „იგის“ სწავლებისთვის



„არ ვიცი რას გრძნობდა **ჯემალ ქარჩხაძე** იმ ღამით, როდესაც „იგიში“ ბოლო წერტილი დასვა, მაგრამ იმ ღამეს მას ღმერთივით უნდა დაეძინა“, - თქვა ლევან ბერძენიშვილმა და ნაწარმოების წაკითხვით მიღებული ეს ემოცია მეორდება ყველა შემდგომ მკითხველში. https://www.youtube.com/watch?v=xhkrRXtqfb0

სასკოლო პროგრამაში „იგის „სწავლებისას მოსწავლეებს განსაკუთრებული ინტერესი უჩნდება, რაც მწერლის მაღალმხატვრული ოსტატობის გარდა, იმითაც არის განპირობებული , რომ იგი გვიბიძგებს იმ მარადიული თემებით დაინტერესებისკენ, რაც კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე აქტუალურია.

ასეთია „იგის“ ამბავიც, პიროვნების მიერ სამყაროს არსის შეცნობის, ბუნების ნაწილად აღქმის აღმოჩენა, რათა „იგი“ „მედ“, პიროვნებად იქცეს. „ადამიანი კი მხოლოდ მაშინაა პიროვნება, როდესაც ის თავისუფალია და შეუძლია არჩევნის გაკეთება“ (**მაია ჯალიაშვილი,** ქართველი მწერლები სკოლაში, ტ.12. გვ 69), ასევე გვიყვება ამბავს, რომ ჭეშმარიტების შეცნობა რთული პროცესია და იგი რჩეულთა ხვედია, ხოლო რჩეულობა უფლის გზაზე სიარულს გულისხმობს და მასთან ერთად იზიარებს „გოლგოთის“ გზას, უნდა უარგყონ, რათა შეგიცნონ, უნდა გაგნირონ, რათა გაღიარონ და მსხვერპლად უნდა შეეწირო იდეას, რათა იდეამ იცოცხლოს...

როცა იგი ავა დიდი დაძინების ქარაფზე, მან იცის, რომ „იგისგან სწორედ ის დარჩება, რაც იგიში იგი იყო“ (**ჯემალ ქარჩხაძე** „იგი“).

იგი ამ გზაზე მარტო არ არის, მას ჰყავს ლიტერატურული „ორეულები“, რომლებმაც სწორედ ეს გზა გაიარეს და ალბათ ყველა მათგანს ერთნაირად მიემართება ბარათაშვილის სიტყვები, რომლითაც იგი ამხნევებს თავის მერანს:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო მაინც დარჩება..

და ჩემს შემდგომად მოწმეთა ჩემთა, სიძნელე გზისა გაუადვილდეს...“

იდეური თავალსაზრისით „იგის“ ბევრი ლიტერატურული პარალელი მოეძებნება, მაგალითად: იოანე საბანისძის „აბოს წამება“, ვაჟა-ფშაველა „ალუდა ქეთელაური“, ოთარ ჭილაძის „ადამიანი გაზეთის სვეტში“, რიჩარდ ბახის „თოლია სახელად ჯონათან ლივინგსტონი“, გ. პეტრიაშვილი „პატარა დინოზავრი“ და ა. შ. თუმცა ყველაზე მეტად მას „ალუდა ქეთელაური“ და „თოლია“ უახლოვდება.

ჯემალ ქარჩხაძემ პიროვნული სრულყოფის ასპარეზად იგის პირველყოფილი, ჯოგური პრინციპი მცხოვრები საზოგადოება აურჩია, ამით აჩვენა რომ პროცესი ჭეშმარიტების შეცნობისა ადამიანის ბუნებრივი მოთხოვნილება და გარადაუვალი პროცესია. ვაჟა-ფშაველას პერსონაჟი კი იქ აღმოაჩენს ჭეშმარიტებას, სადაც ყველაზე მყარი ადათ-წესები ბოჭავენ მას, რიჩარდ ბახის თოლია ფრინველთა გუნდის ბუნებით განსაზღვრულ ზღვარს მიღმა ფრენით იწყებს სამყაროს შემეცნებას (ფრენაც თავისუფლების სიმბოლოა), ნაწარმოების მნიშვნელოვანი სათქმელიც ხომ ამ სამი არსების შიგნით სამყაროს ახლებურად გააზრებას ეფუძნება.

იგი აღმოაჩენს, რომ საზოგადოებაში, სადაც ყველა მოხრილი დადის ,მიწას დაჰყურებს, რათა საკვები მოიპოვოს, მხოლოდ იგი დგას გამართული და მთებისკენ იყურება. „ზეცის კაცობა გამართული სიარულითა და ცისაკენ ხედვითაც გამოიხატება“ (ლალი დათაშვილი, ქართული მწერლები სკოლაში. ტ,12. გვ79) თოლიების გუნდი მხოლოდ იმ მიზნით დაფრინავს,რათა იკვებოს, ჯონათანი კი აღმოაჩენს, ფრენა იმისთვის სჭირდება, რომ ცხოვრებით დატკბეს და სამყაროს მეტი და თავისი შესაძლებლობების აღმოჩენით სრულყოფილებას მიაღწიოს.ალუდა ქეთელაური კი იმ კულტურის შვილია, რომელსაც სწამს, რომ ადამიანის ღირსება ქავაზე დაკიდებული მოჭრილი მარჯვენის სიმრავლით იზომება, მაგრამ სწორედ ამ „ღირსეული „საქმის აღსრულებისას აღმოაჩენს, რომ სიცოცხლე და ვაჟკაცობა უფრო მეტია... „ვაი ეგეთსა სამართალს მონათლულს ცოდვა-ბრალითა“.

ეს პირველი მუხტია ჭეშმარიტების შეცნობისა, რასაც აუცილებლად მოსდევს ეჭვი,შიში, მარტოდ დარჩენის სევდა, ამიტომაც ცდილობს იგი მოიხაროს და დაემსგავსოს სხვებს,ალუდაც მოწყენილია „არ ეწონება თავიო“, ჯონათანიც ცდილობს სხვა თოლიებივით იცხოვროს... მაგრამ ეს დიდხანს ვერ გრძელდება, რადგან პროგრესი გარდაუვალია, ჭეშმარიტება, რომელიც მათში დაიბადა,უნდა გაცხადდეს, უნდა მოეფინოს სამყაროს, რადგან სამყარო იგია და ყველაფერი იგიშია, იმიტომ რომ სიზმრებმა დატანჯეს ალუდა, იმიტომ, რომ თოლია, დარწმუნდა, რომ სამყარო უფრო მეტია, ვიდრე გემიდან გადმოყრილი საკვების დევნა.

შემდეგი ნაბიჯი უარყოფაა, განდევნა, მსხვერპლი. „ჯვარს აცვით იგი!“

„როცა ცა დღის თვალს გაახელს და ქვეყნიერებას სიბნელეს გადააცლის ,იგი ავა მაღალ ქაფაზე და დიდი დაძინების ხახაში ჩაეშვება“

„მოკვეთილ იყოს სხვა ქვეყნის ცა-ღრუბლის შენამზირები“.

„ძმობა დასრულებულია..“

ჯვარცმის შემდეგ ქრისტემ შესთხოვა ღმერთს „შეუნდე, რამეთუ არ იციან რა სჩადიან“

„იგის სხეულშიც დიდი სისწრაფით შემოიჭრა რიცხვმრავალი ტომი, ცას უყურებდნენ ,ყველა მხრეში გაშლილი..სახეზე სითბოს სუნი ასდიოდა“.

„ჯვარს არ აწყინოთ, თემს ნუ სწყევთ,ნუ გადიქცევით ცეტადა“

„არ გაუბრაზდე, არამედ დაეხმარე“....

მათ ესმით, რომ ის რაც მათ აღმოაჩინეს მხოლოდ მათ არ ეკუთვნის, არამედ ყველას და ესეც გარდაუვალია. „გზა უვალი“ გაკვალულია.

იდეა იმარჯვებს, მემკვიდრეები რჩებიან მოციქულთა მსგავსად: ზუ, მინდია, ფლეჩტერ ლინდი. იდეა იწყებს განვითარებას, საზოგადოება ამ იდეით ვითარდება.

„იგის“ შესწავლაში ამ ნაწარმოებებთან პარალელები მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია, მსჯელობისა და საკითხის სიღრმისეულად წვდომისთვის. მასწავლებლებს კი გვეძლევა შესაძლებლობა მოსწავლეები დავაფიქროთ, რომ თოლიას, რომელიც მათში ცხოვრობს, შეუძლია ფრენა.

თამარ ონიანი,
83-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის უფროსი მასწავლებელი

არაქართული სკოლა - მეგობრობის მედროშე

საქართველოს სიყვარულს უნერგავენ

თბილისის 104-ე საჯარო სკოლაში სწავლება სომხურ ენაზე მიმდინარეობს, თუმცა აქ ტრადიციულად დიდი ყურადღება ექცევა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას. სკოლის დირექტორი **ირინა ჟამკოჩიანი** გამოცდილი მენეჯერია და კარგად უძღვება სასწავლო პროცესს. ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზეც კარგად იზრუნა და მოსწავლეებს შესანიშნავი პირობები შეუქმნა სწავლა-განათლებისთვის. ქალბატონ ირინას მხარში უდგას მოადგილე **ალმარი სირადეგიანი**. სკოლის ინტერიერი გაფორმებულია თვალსაჩინოებებით, კედლის გაზეთებით, თემატური ნამუშევრებით და წარმატებული მოსწავლეების ფოტოებით.

სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესზე და მიღწევებზე გვესაუბრება თავად დირექტორი **ირინა ჟამკოჩიანი:**

- თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ 104-ე სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართული ენის სწავლებას, გამოყენებულია ის პროგრამა და სახელმძღვანელო, რაც ქართული სკოლებისთვისაა გათვალისწინებული. ამ მხრივ, ყველანაირად ხელს ვუწყობთ სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას. გვყავს შესანიშნავი მასწავლებლები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რათა არაქართველ მოსწავლეებს შეაყვარონ **ქართული ენა** და **საქართველო**. ესენია: **ალმარი სირადეგიანი, ლია ნაცვლიშვილი, მარეტტა შახდინარიანი, სილვა კალოიანი** და **ლალი ჯავახიძე.** აქ შემოქმედებითი პროცესი წარმატებით მიმდინარეობს. მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა ღონისძიებებში, რომლებსაც არაერთი თხზულება აქვთ დაწერილი სომხურ-ქართულ ურთიერთობებზე. გამორჩეული ნაშრომებისთვის მოსწავლეებს გადაეცათ სხვადასხვა სახის საჩუქრები და ფულადი პრიზები. სკოლაში სისტემატურად ტარდება **დედაენის** დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები კითხულობენ ქართველი პოეტების ლექსებს, მღერიან და ცეკვავენ, სწავლობენ ქართულ ეროვნულ ფოლკლორს. დაიდგა სპექტაკლები კონკურსისთვის თემაზე: **„ჩემი პირველი ქართული როლი“** ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემოქმედების მიხედვით. მოსწავლეები სიხარულით ჩაერთვნენ ამ პროცესში, გაითავისეს როლები და სპექტაკლმა ვაჟა-ფშაველას ნაწარმოების მიხედვით, დიდი მოწონება დაიმსახურა, რომელმაც რაიონის მასშტაბით გამარჯვებაც მოიპოვა. 2018-2019 სასწავლო წელს, სკოლაში ქართული ენის და ლიტერატურის პედაგოგების დახმარებით, მოსწავლეებმა ჩაატარეს ღონისძიება საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ადათ-წესებისა და სამზარეულოს შესახებ, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

104-ე სკოლის მოსწავლეები ყოველ წელს წარმატებით მონაწილეობენ სხვადასხვა სასკოლო თუ ეროვნულ ოლიმპიადებში. წელს განსაკუთრებული წარმატება ხვდათ წილად მე-12 კლასელებს **მარიამ პერიხანიანს** და **გარი აბრამიანს**, რომლებმაც ეროვნული ოლიმპიადის მე-3 ტურში გაიმარჯვეს. **გარი აბრამიანი** აგრეთვე, მოხვდა პირველ ათეულში და მე-5 ადგილი მოიპოვა.

საგულისხმოა, რომ 104-ე სკოლის პედაგოგები ზრუნავენ იმაზე, რომ მოსწავლეებს შემოქმედებითი უნარები განუვითარონ, ცდილობენ შეაყვარონ პოეზია, ლიტერატურა, ასწავლიან ნაწარმოებების განხილვას და წაკითხული წიგნის გააზრებას. სკოლის კურსდამთავრებულები წარმატებით აგრძელებენ სწავლას ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში და მათ არა აქვთ ენობრივი ბარიერი.

დირექტორის თქმით, სკოლა მიღწეულით არ კმაყოფილდება და პედკოლექტივთან ერთად, ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა ქართული ენა და საქართველო კიდევ უფრო მეტად შეაყვარონ მოსწავლეებს.

მზია გოგოძე

პრობლემის უკეთ წვდომისათვის

საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობა „შუშანიკის წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“

ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ავტორები ყურადღებას ამახვილებენ საერო და სასულიერო პირთა ურთიერთობაზე.

მხატვრული ნაწარმოები, როგორც ასეთი, ყოველთვის იძლევა ინტერპრეტირების საშუალებას - მას ვიგებთ და ვიღებთ ისე, როგორც გვინდა რომ გავიგოთ, გამონაკლისია სასულიერო მწერლობა, რომელიც ერთმნიშვნელოვნად აღწერს წმინდანის წამებისა თუ ცხოვრების ამბებს, რაც განსაკუთრებულ ხაზს უსვამს ჰაგიოგრაფიული ნაწარმოების ღირსებას.

იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ მთავარი პერსონაჟი – **შუშანიკი** (ქვემო ქართლის დედოფალი) საერო პირია, საერო პირები არიან აგრეთვე: ვარსქენ პიტიახში, ჯოჯიკი, მისი ცოლი, სპარსი კაცი, შიკრიკი, ციხის მცველი, ვარსქენის ძიძიშვილი და სხვ. რა თქმა უნდა, ამ საერო პირების მეობის სიღრმისეულად გადმოცემა არ იყო ავტორის მიზანი. იაკობმა დაგვანახა ვარსქენისა და შუშანიკის ურთიერთსაპირისპირო სახეები, (ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული), განსაკუთრებით დედოფლის მედგარი და უტეხი სახე. ერთმორწმუნე საერო და სასულიერო პირები **„შუშანიკის წამებაში''** ერთმანეთის მიმართ დიდი პატივისცემითა და მოკრძალებით არიან განმსჭვალულნი, გარდა ერთი პერსონაჟისა. ყურადღება უნდა გავამახვილოთ **ვარსქენ პიტიახშის**, სარწმუნოების მოღალატე ფეოდალის დამოკიდებულებაზე სასულიერო პირთა მიმართ. სპარსეთიდან დაბრუნებული ვარსქენი ერთგვარი ეშმაკობით ცდილობს დაიახლოვოს სასულიერო პირები, მათ კი სხვა არა დარჩენიათ რა, უნდა დაემორჩილონ პიტიახშს **„გვწოდა ჩვენ, ხუცესთა, და მივედით.“ (ავტ. ზურაბ სარჯველაძე, კორნელი დანელია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გამომცემლობა „განათლება“1999 წელი. IV თავი. გვ. 11)** იღებენ მისგან დავალებებს **„აწ მივედით და არქუთ“ (IVთავი. გვ.11);** ხშირად იყენებს ვარსქენი იაკობ ხუცესს დედოფალთან შუამავლად, მაგ: **„მივედ და მომართუ იგი ყოველი, რაიცა რაი არს! ხოლო მე მივედ და უთხარ წმინდასა შუშანიკს. ხოლო მან განიხარა ფრიად და მადლი მისცა ღმერთა და ყოველივე მომიძღუანა და მივართუ პიტიახშსა“ (VII თავი გვ. 17).**

მშვენივრად ჩანს, თუ როგორ ეშინია ვინმე დიაკონს პიტიახშის, რადგან დარწმუნებულია, რომ სარწმუნოების მოღალატე ვარსქენი დაუნდობელია: **„დიაკონი ვინმე ერთი მის ეპისკოპოსისაი დგა წმინდისა შუშანიკის თანა მას ჟამსა, რომელსა გამოჰყვანდა იგი ტაძრით, და უნდა, რაითამცა ჰრქუა, თუ: „მტკიცედ დეგ!“ და თუალი ჰკიდა პიტიახშმან, სხუაი ვერღარაი სცალდა სიტყუად. ესრეთ ოდენ ჰრქუა: „მტკი. . .“და დადუმნა ხოლო და სივლტოლად იწყო სწრაფით“ (IX თავი. გვ.22).** არა მხოლოდ დიაკონი, არამედ თავად აფოც ეპისკოპოსიც არაფერს უპასუხებს ვარსქენის ღანძღვა-გინებას და არც შუშანიკს ესარჩლება, როცა პიტიახში მას იძულებით მიათრევს სასახლეში. ნაწარმოებში არის შემთხვევა, როდესაც შეჰბედავს ერთი ხუცესი ვარსქენს საყვედურს ეპისკოპოსისა და შუშანიკის გინებისთვის, მაგრამ განრისხებული პიტიახში მღვდელს კვერთხს არტყამს: **„მან უხეთქნა კუერთხითა ხუცესსა მას ზურგსა და მან ვერღარა იკადრა სიტყუად“(VIII თავი. გვ.20).**

სასულიერო პირთა ასეთი მორჩილება იმის ნიშანია, რომ ამ დროისთვის ქართული ეკლესიის გავლენა საერო ხელისუფლებაზე სუსტია, იგი განსაკუთრებით ძლიერდება VIII-IX საუკუნეებში, რაც მშვენივრად ჩანს გიორგი მერჩულის **„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“**. ავტორი ცდილობს მხატვრული სიმართლით დაგვანახოს სამღვდელოთა და ერისკაცთა ცხოვრება, თითოეული მათგანის ცხოვრების წესი და ამ წოდებათა ურთიერთობის ჩვენების ფონზე სარწმუნო გახადოს ეკლესიის მსახურთა უპირატესობა ერისკაცებთან შედარებით. **(ავტ. ზურაბ სარჯველაძე, კორნელი დანელია „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, გამომცემლობა „განათლება“1999 წელი. გვ. 225).**

ავტორი დაწვრილებით გადმოგვცემს სამღვდელოების, განსაკუთრებით ბერ-მონაზვნების ცხოვრებას. სიღრმისეულად ისტორიული მნიშვნელობისაა ის ცნობები, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ამ პერიოდში მკვეთრად ყოფილა ჩამოყალიბებული სასულიერო წოდების შიგნით ორი ფენა: თეთრი და შავი სამღვდელოება. ნაწარმოები კი ეთმობა მეუდაბნოე ბერ-მონაზვნების მკაცრი ცხოვრების ღვაწლის გადმოცემას. გრიგოლ ხანძთელი დემეტრე მეფეს უხსნის, თუ რატომ ირჩევენ ბერ-მონაზვნები უგზო და მიუვალ ადგილებს სამყოფად, რათა განრიდებოდნენ ურწმუნო ერისკაცთა შუღლს, ბოროტებასა და ღვარძლს, აგრეთვე პოლიტიკური ძნელბედობით გამოწვეულ ძალადობას გარეშე დამღუპველი ძალების მიერ, მაგრამ ნაწარმოებში არსად ჩანს ბერ-მონაზვნებისა და სამრევლო ეკლესიის მსახურთა დაპირისპირება, პირიქით ისინი ერთად არიან და ერთადვე წყვეტენ საჭირბოროტო სარწმუნოებრივ საკითხებს.

ავტორი დამაჯერებლად ხატავს საერო და სასულიერო წოდებათა ურთიერთთანამშრომლობას. ერისკაცებს ეკლესიის მხარდაჭერა სჭირდებოდათ როგორც არსებული საზოგადოებრივი სისტემის შესანარჩუნებლად, ისე სულიერ-რელიგიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო ეკლესიას მათგან ესაჭიროებოდა ეკონომიური დახმარება და სიმშვიდე ქვეყანაში. ამ ორი წოდების თანადგომის საჭიროება კარგად ჩანს დიდგვაროვანი აზნაურის გაბრიელ დაფანჩულის სიტყვებში, რომელებითაც გრიგოლს მიმართავს; **„აწ ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი, და ესე შევზავნეთ ურთიერთსა.“**

ეკლესიის მსახურებს გასიგრძეგანებული აქვთ, თუ რა სამსახურს უწევენ სახელმწიფოს, ამიტომაც ფიქრობენ, რომ ღვთის ნებით ეხმარებიან დიდებულები მათ. სახელმწიფო სამსახურში ჩამდგარი ეკლესია მეფის ღვთიურ წარმომავლობას ქადაგებს. ეკლესიის საყრდენი ბიბლია ხალხს ასე მოძღვრავდა: **„გეშინოდენ, შვილო, ღმრთისა და მეფისა და ნუ ურჩ ექმნები ორთავე მათ.“ (ახალი აღთქმა. იგ.24,21)**

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ აზნაურის **გაბრიელ დაფანჩულისა** და მისი მეუღლის მარიამის უხვად გაღებული შესაწირი ხანძთის მონასტრისადმი, გრიგოლ ხანძთელი ხომ პირველად სწორედ მათ ოჯახს მიადგა დახმარებისთვის, როდესაც **„მოწაფეთა თვისთა უპოვარებაი იხილა.“**სწორედ ამ გაბრიელმა გააგებინა შემდეგ გრიგოლის საქმიანობა აშოტ კურაპალატს; ამ უკანასკნელმა კი შესწირა დიდძალი შესაწირი, აგრეთვე **„შატბერდისა ადგილი აგარაკად ხანცთისა.“** არც უფლისწულები ჩამორჩნენ მამას ქველმოქმედებაში.

ავტორს ბუნებრივად მიაჩნია მათი ურთიერთთანამშრომლობა, მაგრამ იმასაც აღნიშნავს, რომ ეკლესია-მონასტრები დამოუკიდებელნი უნდა იყვნენ, ხოლო თუ ერისკაცი დაარღვევს ქრისტიანული ზნეობის ნორმებს, სასულიერო პირები თავს მოვალედ თვლიან, ჩაერიონ მათ საქმეებში. ამის მაგალითი სახეზეა ნაწარმოებში, როდესაც გრიგოლ ხანძთელი ჩაერევა ადარნესეს პირად ცხოვრებაში, ოჯახურ ინტიმურ საქმეებში.

საერო და სასულიერო პირების ურთიერთობის მშვენიერი მაგალითია ნაწარმოებში ჯავახეთის საეკლესიო კრება, სადაც გუარამ მამფალი ეცადა, არსენის კათალიკოსობისთვის ხელი შეეშალა, მაგრამ გრიგოლმა საკმაოდ დამაჯერებლად აგრძნობინა, რომ მას არ ჰქონდა ამ საქმეში ჩარევის უფლება. ეკლესიის მსახურთა ავტორიტეტი კარგად გამოიკვეთა მაშინ, როდესაც გრიგოლი აშოტ კურაპალატის უკითხავად წაიყვანს სასახლიდან სიძვის დიაცს დედა ფებრონიასთან, ხოლო მასთან ქალის დასაბრუნებლად მისული მეფე გულწრფელად აღიარებს, რომ **„ხორციელად ძლიერა ხელმწიფესა სულითა ძლიერთა კაცთა სძლეს.“** ყოველ მონაკვეთში მშვენივრად იკვეთება ავტორის კმაყოფილება სასულიერო პირთა სიძლიერის გამო.

ლიანა ჯანგულაშვილი-გელაშვილი,
თბილისის 83-ე საჯარო სკოლის წამყვანი პედაგოგი

მაღალ – ინდივიდუალური და – სულიერებისკენ ჭრილი-ჭრილი!

167-ე ბაგა-ბაღი სანიმუშოა

ყველაფერი ლამაზი - პატარებს!

კოხტა 167-ე ბაგა-ბაღში პატარებს ყოველთვის მიუხარიათ, აქ მათ სითბო და ყურადღებას არ აკლებენ მაღალკვალიფიციური აღმზრდელები. ბაღის დირექცია კი, ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა თავი კომფორტულად იგრძნონ. საბავშვო დაწესებულებაში განხორციელებულ ცვლილებებზე გვესაუბრება დირექტორი **თვალმაისა გოგოხია.** იგი, უკვე რვა წელინადია შესანიშნავად მართავს ბაღს, საკუთარი შვილივით უყვარს თითოეული აღსაზრდელი. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

თვალმაისა გოგოხია: ჩემი დირექტორობის პერიოდში, არაერთი სიახლე განხორციელდა. საერთოდ, სკოლამდელ განათლების სისტემაში მუდმივად გვაქვს ახალი გამოწვევები. ჩვენი მთავარი პრიორიტეტია - ბავშვის განვითარებისთვის საჭირო გარემოს შექმნა, რაც მომავალში მისი პიროვნებად ჩამოყალიბების საწინდარია. რაც შეეხება ინფრასტრუქტურას, ამ მხრივ, ძალიან ბევრი გავაკეთე. გარემონტდა სააღმზრდელო ჯგუფები, სამზარეულო, შევიძინეთ ყველა საჭირო ინვენტარი. რა თქმა უნდა ეს ყველაფერი არ გაკეთდებოდა მხოლოდ ჩემი მონდომებით, აქ გვერდში დამიდგა ბაგა—ბაღების მართვის სააგენტო. დიდი მადლობა მათ. დღესაც სისტემატურად მიმდინარეობს პატარ—პატარა სარემონტო სამუშაოები. მომავალ სააღმზრდელო წლის დაწყებისთვის, იმედი მაქვს უფრო გალამაზებულ ბაღს შევთავაზებ ჩვენს პატარა ანგელოზებს. ყველა თანამშრომელი ძალ-ღონეს არ ვიშურებთ, რათა პატარებს კომფორტი შევუქმნათ, გვინდა, ყველაფერი ლამაზი ჰქონდეთ. ბაღი უასაფრთხოა, სანიტარული წესები დაცულია. ყოველდღიურად სუფთავდება, დღის განმავლობაში რამდენჯერმე და სრულად ვიცავთ სანიტარულ ნორმებს. რაც შეეხება კვებას, წინა წლებთან განსხვავებით, გაუმჯობესებულია და ბავშვის კვება უფრო მრავალფეროვანია.

- ქალბატონო თვალმაისა, რა ცვლილებებია ბაღის სასწავლო პროცესში?

- რა თქმა უნდა, სისტემატურად ხორციელდება პროგრამების განახლება. 2018 წლის ოქტომბერში, ჩვენმა მეთოდისტმა გაიარა ტრენინგები „აღმზრდელ პედაგოგის პროფესიული განვითარების“ კურსი. ბაღში ნაბიჯ-ნაბიჯ დაინერგა ეს სტანდარტები თუ მეთოდები. თითოეული თემის შემდეგ, მიმდინარეობს პროექტები **„თამაშ-თამაშით“,** რაშიც ძალიან აქტიურად არიან ჩართული ბავშვები და უხარიათ თავიანთი ხელით შექმნილი რომ არის ესა თუ ის ნამუშევარი. ეს თემებია: **მუსიკალური საკრავები, წელიწადის დრო კალენდარი და საათი, წყლის მოძრაობა** და ა.შ.

ჯგუფებში ამჟამად, 420 აღსაზრდელი გვერიცხება. სულ 13 ჯგუფია. **„სასკოლო მზაობის“** ჯგუფში 115 აღსაზრდელია.

- ბაღის წარმატება, გარკვეულწილად დამოკიდებულია კარგი მენეჯერის და ასევე, თითოეული თანამშრომლის დიდ ძალისხმევაზე... თქვენ როგორ დაახასიათებთ თქვენს კოლექტივს?

- ვფიქრობ, ძალიან რთულია გერქვას აღმზრდელი, ეს მართლაც საპატიო მისიაა და ჩვენი ბაღის აღმზრდელები ნამდვილად ამართლებენ ამ სტატუსს. ისინი, მუდამ ცდილობენ, ყოველთვის იყვნენ მოწოდების სიმაღლეზე. ჩვენი აღმზრდელი თუ აღმზრდელის თანაშემწე, ყველა არის კვალიფიციური, შემოქმედებითი უნარებით დაჯილდოებული, რაც მთავარია, ძალიან უყვართ აღსაზრდელები. მოგეხსენებათ, თუ არ გიყვარს ბავშვი, ვერ იმუშავებ საბავშვო დაწესებულებაში. ბავშვის წარმატებისთვის ძირითადი საწყისი ხომ ბაღია. ეს ყველაფერი კი, დაუღლავი შრომის შედეგია. ისინი უანგაროდ გასცემენ დიდ სიყვარულს.

ბაღში ფუნქციონირებს მულტიდისციპლინარული გუნდი, რომელიც ყველა საჭირბოროტო საკითხში აქტიურად არის ჩართული. ჩვენთან ხშირად იმართება შემოქმედებითი ღონისძიებები და ზეიმები: შემოდგომის, საახალწლო,დედის დღე, გაზაფხული, დედამიწის დღე, ბავშვთა დაცვის დღე და ყველაზე მთავარი **გამოსაშვები საღამოები.**

თქვენი გაზეთის საშუალებით, დამამთავრებელ ჯგუფს მინდა მივულოცო ბაღის დასრულება და პატარებს დავულოცო გზა. ისინი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიან, ვუსურვებ მათ, ქვეყნის საამაყო შვილები გაზრდილიყვნენ. აქვე, მადლობას ვუხდი მთელ კოლექტივს, გვერდში დგომისთვის და კარგი თანამშრომლობისთვის. მეამაყება და მიხარია, რომ მე 167-ე ბაგა-ბაღის დირექტორი ვარ და მყავს საუკეთესო გუნდი. ისინი ნამდვილად იმსახურებენ ყველაფერ საუკეთესოს. ბაღი - ჩემი დიდი ოჯახია და მე აქ მოსვლა მიხარია!

ახალ წარმატებებს გისურვებთ ბაგა-ბაღელებო!

ანანო სამელია

2019 წლის სექტემბრიდან დიდუბის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიხსნება საბალეტო სტუდია „პიკე“.

პროფესიონალურ ჯგუფებში მიიღებიან ბავშვები ხუთი წლის ასაკიდან. იმოქმედებს მოყვარული ჯგუფებიც.

მისამართი: დიღმის მასივი, V კვ. მიქელაძის ქ. 6. მე-40 ბაგა-ბაღის შენობაში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 2 524 302; 577 717 327; 597 973 955;

გასწორება

თბილისის 54-ე საჯარო სკოლისადმი მიძღვნილ წერილში (№8, 15/V-2019) დაშვებულია უზუსტობანი: არ უნდა ყოფილიყო 55-სკოლა, არამედ უნდა იყოს 54-ე სკოლა; არც - „მარტო კაცი ქამაშიც ბრალიაო“. უნდა ყოფილიყო: „უნდა შევქმნათ მსოფლიოში წარმატებული განათლების სისტემის ჩვენეული მოდელი.“
ამ ხარვეზისთვის რედაქცია ბოდიშს იხდის.

მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე

გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედაქტორი

ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ნათია გურგენიძე 593 422 258; ეკა მამუკაშვილი 557 208 504;
მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705;
კონსტანტინე გურგენიძე 555 960 246;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ტელ: (032) 2 99 80 00
(032) 2 98 48 07; (032) 2 99 63 52

სახალხო განათლება+ N9 (4584)
29 მაისი / 2019 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან

ISSN 1987-9113